სოციალ-დემოკრატიული მუშათა ბარტია

კრებულებარებო შეხედა კავკასია. შეკრთდით

სამშაბათი 13 აგვისტო 1918 წ.

ჩვენება

ფასი 40 კაპ.

გაზეთი დირს: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი უფრო 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამას შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერილებმა ფული შემოიტანონ ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, Головинскій пр. № 129. Редакція „Эртоба". განცხადებისა და გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ შეიტყობს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 170 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 170

ხონის საოსტატო სემინარიის პედაგოგიური საბჭო მწუხარებით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ 8 აგვისტოს გარდაიცვალა დასახელებულ სასწავლებლის დამსახურებული მუშაკი ეკონომოსი და საქმის მწარმოებელი

ვასილი პავლეს ძე თარგამაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება დღეს, 11 აგვისტოს, ჭალაჭ ხონში. (2—2)

გიორგი კონსტანტინეს ძე და ლიუბა ალექსის ასული სიამაიშვილები თავის ვაჟიშვილებს ალექსი ვასილის ძე ბარსოვი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს გარდაცვალებას პირველი მაისის, მეორე მამამთილის და უკანასკნელი კი ნათესავის

პონსტანტინე თარხანის ძის სიამაიშვილისას

რომელიც მოხდა ქ. ოზურგეთში ხანგრძლივი და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ. (2—1)

გულდათუთქული მშობლები ქრისტინე და მაქსიმე (პახვალა), ძმები ელიზბარ და ტარასი მალხულიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 15 აგვისტოს, ხუთშაბათს, ბაბაში ს. კვათანის ეკლესიის სასაფლაოზე დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოთ დაღუპულ პრაპორშჩიკ

პონსტანტინე (კუკუ) მალხულიას

სულის მოსახსენებლათ, რომელიც ს. ხოსტაში (ხობისმის ოლქში) ბალშევიკთა ბრბოს მიერ გულგანგმირული მამაცურათ დაეცა. (2—1)

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შემოქმედის რაიონული კოლექტივი ამით აუწყებენ ამხანაგებს, რომ კვირას, 4 აგვისტოს, ნატანების გზაზე ყაჩაღებმა ვერაგულათ მოჰკლეს ჩვენი საუკეთესო პარტიული ამხანაგები

დავით სიმონის ძე გუგუნავა

და

იაკინთე ნიკოს ძე მამულაიშვილი

(2—1)

გაზეთ „ერთობის" ხელისმომწერთ.

მესამე რაიონული კოლექტივი ამით აცხადებს, რომ ვისაც ფული არ შემოუტანია ამ თვის, 14 ამ თვემდე უნდა შემოიტანონ. რომლებსაც გასული თვისაც არ გადაუხდიათ, იმათაც ამ ვადის განმავლობაში უნდა გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთში გამოვაცხადებთ მათს სახელსა და გვარს.

კოლექტივის მდივანი **ი. მეგრელიძე.**

რას წარმოადგენს რუსეთის ორიენტაცია?

საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ რომ ბევრი კერძო პირი და ჯგუფია ამხედრებული, ეს ბუნებრივი მოვლენაა, რადგან ჩვენი დამოუკიდებლობა აღნიშნულ პირებს და ჯგუფებს ყოველგვარ უპირატესობას უსპობს. მაგრამ უკმაყოფილოთა წრეში ჩვენ ვხედავთ ბევრს დამსახურებულ პარტიულ მოღვაწეს და მათი არგუმენტაციაც ისეთია, რომ შესაძლოა ბევრ გულუბრყვილოს გზა-კვალი აებნას. ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილ კუთხეებში ბალშევიკების მეთაურობით აჯანყებებიც კი ხდება და დღეს არავისთვის არ არის დაფარული ის, რომ ბრძოლის ლოზუნგათ რუსეთთან შეერთებაა წამოყენებული. კითხვა თავისთავად სერიოზულია და მის გადაწყვეტას აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენს დღეს თითონ რუსეთი.

ჩვენ ვიცით, რომ რუსეთი დღეს დანგრეულია: წარმოება დაეცა, ქარხნები დაკეტილია, რკინის გზა განადგურებულია, მიმოსვლა დარღვეულია.

მაგრამ მოწინააღმდეგეს ყოველთვის შეუძლია გვითხრას, რომ ჩვენი ცნობები ცალმხრივი და სუბიექტიურია, რომ ჩვენ გვალაპარაკებს ბალშევიკების სიძულვილი და ვხე მძღვანელობთ არა ბალშევიკთა პრესით და ჩვენებით.

ამიტომ ჩვენ გვსურს დავემყაროთ თვით ბალშევიკების ოფიციალურ წარმომადგენლებს და მათ ჩვენებას.

ასეთია მოხსენება რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარსა, რომელიც ჩვენ გაზეთში იბეჭდება.

ამ მოხსენებაში საგარეო საქმეთა კომისარი აღიარებს, რომ გერმანიამ არ შეასრულა ბრესტის ხელშეკრულობა, რომ საბჭოთა მთავრობამ თითონ ამხედრა რუსეთის წინააღმდეგ მოკავშირეები, მაგალითად, სერბების გაუქმებით.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ამ მოხსენებაში ის ადგილი, რომელიც ეხება რუსეთის ეკონომიურ ურთიერთობას გერმანიასთან. მოვყვანოთ თითონ ბ. ჩიჩერინის ზოგიერთი სიტყვები. ის, სხვათა შორის, ამბობს: „ერთის მხრით ხდება ლიკვიდაცია იმ ზარალისა, რომელიც მეფის სამხედრო მთავრობამ მიაყენა გერმანიის ქვეშევრდომთ რუსეთში და აგრეთვე იმ ზარალის ანაზღაურებაც, რაიც ოქტომბრის სოციალისტურ რევოლიუციის კანონმდებლობამ გამოიწვია.

„ბრესტის ხელშეკრულობა ვალად გვხდის ჩვენ ავუნაზღაუროთ გერმანიის ქვეშევრდომთ ომის დროს მიყენებული ზარალი, ამ მოქალაქეთა კუთვნილ წარმოებების ლიკვიდაციით გამოწვეული, რამაც გამოიწვია დივიდენდების დარიგების და სესხის სარგებლის შეფერხება".

მკითხველი ადვილათ მიხვდება, თუ რა აურაცხელი ფული მოუნდება აღნიშნულ ზარალის ანაზღაურებას. და როდესაც ჩვენ რუსეთისაკენ მივიპატიჟებიან, ცხადია, სურთ, რომ უპასუხისმგებლო ბალშევიკ მოღვაწეთა შეცდომების სიმძიმე ჩვენ ხალხს დაატეხონ თავზე.

რუსეთის ხაზინის ვალებს ბალშევიკებმა კიდევ ახალი ვალები მიუმატეს. როგორ ფიქრობენ ამ ვალების გადახდას? ამის შესახებ ჩიჩერინი მოგვითხრობს:

„ჩვენს ვალდებულებათა ასაღრულებლათ ცენტრალურ სახელმწიფოთა წინაშე, თანახმად ბრესტის საზავო ხელშეკრულობისა, ჩვენ იძულებული ვართ ავიღოთ სესხი. საერთო ჯამი ამ ჩვენ ვალდებულებათა იქნება სახელმწიფოებრივ ვალად. ამ ვალის პროცენტებს გადახდა უნდა მოვახდინოთ ნაწილობრივ ჩვენი სასოფლო და სატყეო მეურნეობის ნაწარმოებებით და ნაწილობრივ ოქროთი „...ჩვენ ვფიქრობთ მივცეთ მათ კონცესიები რუსულ ბუნებრივ სიმდიდრეთა საექსპლოატაციოთ.

„კონცესიები შეიძლება ვრცელდებოდეს: ა) ნავთეულობის დამუშავებაზე; ბ) რკინის გზათა გაყვანაზე; ვ) განსაზღვრულ მიწების დამუშავებასა და უტილიზაციაზე, ამ მიზნით შემოღებულ იქნას გაუმჯობესებული სასოფლო მეურნეობა. საიდანაც ნაწილს წარმოების პროდუქტებისას იღებს გერმანეთი".

მოხსენების სხვა ადგილებს ჩვენ არ შევეხებით, რადგან ამოწერილი ადგილებიც საკმაოთ ნათელ სურათს იძლევა იმისას, თუ რას წარმოადგენს დღეს რუსეთი: ეს არის გერმანიის ახალშენი.

იმ პირობებში, რომელშიაც დღეს ჩაყენებულია რუსეთი, რასაკვირველია, სხვა გამოსავალი მას არ აქვს და გერმანიის ძლიერ ოპეკის ხელი მისთვის საჭიროც არის და სასარგებლოც, მაგრამ ჩვენი მტერ-მოყვრები რომ ცდილობენ გერმანიის მოხარკე რუსეთის მონათ გადაგვაქციონ, ეს ჩვენ არ გვესმის და ვფიქრობთ, რომ პოლიტიკური სიბრმაეე ამაზე შორს აღარ წავა.

ჰეშმარიტად მართალი იყო ს.-დ. ორატორი, როცა მან ერთხელ სეიმში განაცხადა: რუსეთის ორიენტაცია დღეს რეაქციონური ორიენტაცია არისო.

და სიამოვნებით უნდა ვაღიაროთ, რომ ამ რეაქციონურ ორიენტაციას დღეს საქართველოს დიდი და შეგნებული ნაწილი არ იზიარებს.

პრესა

გაზ. „საქართველოში" ვინმე ლ. ჯაფარიძე ცდილობს სახელი გაუტეხოს რევოლიუციონურ ტრიბუნალს. მას მიზანში ამოუღია გორის ტრიბუნალი. სწერს:

„გორის არევოლიუციო ტრიბუნალს გამოაქვს სასიკვდილო განჩენები, რომელნიც შეიძლება შეიცვალონ 3000 მანეთის ჯარიმის გადახდით.

ეს არის სიცოცხლის ნიხრი, თუ გაქვთ ეს ფული, სიცოცხლის უფლებაც გეძლევათ, თუ არა და მიიღებთ მისაწვენ ბარათს საიქიოსაკენ".

ასეთია ბ. ლ. ჯაფარიძის ცინიზმი. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ასეთს შემთხვევას გორის ტრიბუნალში ადგილი არ ქონია და გამოგონილია ლ. ჯაფარიძის მიერ. ინებოს „საქართველომ" და დაამტკიცოს წინააღმდეგი. ჩვენ ვიცით, რომ ამას „საქართველო" ვერ დაამტკიცებს, რადგან ტყუილებზეა ნათქვამი: მოკლე ფეხები აქვსო.

მაშ რამ გაათავხედა ასე „საქართველო"? ეჭვი არაა, იუსტიციის მინისტრის განცხადებამ, რომ ტრიბუნალებში უწესოებანი ხდებაო.

ჩვენ სულაც არ ვართ იმ აზრის, რომ საჭირო არ არის ნორმალურ სასამართლოს მოწყობა, ჩვენ ვიცით, რომ ტრიბუნალებს შეცდომები მოსდის, მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ თავის დროზე ეს ტრიბუნალები საჭირო იყო: მოიგონეთ, თუნდაც ის ხულიგანური გამოსვლები, რომელსაც გორში ქონდა ადგილი. იქნებ თვითპყრობელობიდან დარჩენილი სასამართლოები შესძლებდენ წესიერების დამყარებას?

უნდა მოვახსენოთ ბ. ნაციონალ-დემოკრატებს: რამდენი ჭორიც არ უნდა ჩმახონ ქონდრის კაცებმა, რევოლიუციის იდეიას თქვენ ვერ დაამცირებთ.

საქართველოს ეროვნული საბჭო

9 აგვისტოს სხდომა.

(დასასრული)

რ. გაბაშვილი: მე მინდა იმ ფაქტებს, რომელიც აქ ჩიქოვანმა მოიყვანა დაუმატო სხვა ფაქტებიც, რომელნიც იუსტიციის მინისტრს არ სცოდნია: ასეთი თვითგასამართლება არამც თუ ხდება ჩვენში, არამედ—მზადდება კიდევაც. ჩვენ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ არა სოციალისტურ პარტიას სდევნიან. ორატორს მოყავს მაგალითად ვინმე წერგნაძის დაჭერა და ამბობს, რომ ეს ქაცი კინაღამ დახვრიტეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ნაც. დემ. სასარგებლოთ აგიტაციას ეწეოდა საერობო არჩევნების დროს, მაგრამ ერთერთს ფედერალისტმა გადაარჩინაო. შემდეგ ორატორი კითხულობს იმ სოფლის განაჩენს, სადაც ეს მოხდა (ალ. ლომთათიძე აღგიდან რამოდენიმეჯერ ეკითხება, თუ რომელი სოფლის განჩენია, მაგრამ ორატორი ყურადღებას არ აქცევს). საინტერესოა, ამბობს გაბაშვილი, მიწერილობა, რომელიც მიუღია ადგილობრივ მთავრობას წერგნაძის შესახებ: დაჭერეთ და არ გაუშვათ მანამ, სანამ საეორობო არჩევნები არ გათავდებაო. (ალ. ლომთათიძე: „ვისგან იყო მოწერილობა?) გაბაშვილი: ამას შემდეგ გაიგებთ. ასეთივე შემთხვევას ქონდა ადგილი მეორე ნაც. დემ. კვარაცხელიასთან. აქ ჩიქოვანის შეკითხვის შემდეგ მე მეგონა, რომ მთავრობა ისეთ განმარტებას მოგვცემდა, რომ ყველას დაგვაკმაყოფილებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. მე ვერ გავიგე ის გარემოებაც, რომ ჩვენს მთავრობას დღემდე ვერ მოუბერხებია სასამართლოების მოწყობა. არ გამეგება ის გარემოებაც, რომ ბ. ი. ბარათაშვილი როგორც საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი დღემდე განაგრძობს სხვადასხვა დანაშაულის დაცვას, როგორც ვეჭვლი. მე არ ვ ცი ეს შეიძლება თუ არა. შემდეგ ორატორი ილაშქრებს გორის რევოლიუციონურ ტრიბუნალის წინააღმდეგ, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს ორი ექიმი, ერთი მასწავლებელი და ერთიც ფერშალიო. ეს ტრიბუნალი არავითარ კანონს და ნორმას არ უწევს ანგარიშს და ისე სჯის სიკვდილითაც დამნაშავეებ. თვითონ ტრიბუნალის თავმჯდომარე არ მალავს ტრიბუნალის მიერ ჩადენილ უსამართლობას და სამოსამართლო პალატაში თქვენ ნახავთ ერთ ქალაღდს გორის ტრიბუნალის თავმჯდომარის მიერ გაგზავნილს, სადაც სწერია, რომ ნ დავხვრიტეთ, [illegible] მოხვდაო. გორის ციხეში მრავალი ტყვეები ზის, მაგრამ არც ერთმა არ იცის თუ რისთვის, რა მიზეზით. დაატუსაღებენ და ნაშავეს, გადაუწყვეტენ სიკვდილით დასჯას და ჩააბარებენ მილიციონერებს, ხოლო უკანასკნელნი ან ჯარიმით შეუცვლიან სასჯელს, ანუ ციხეში ჩაყვამენ ბ. იუსტიციის მინისტრს მოუვიდა ერთი წერილი ტუსაღისაგან. ხომ დამხვრიტეთ და აწი მაინც გამათავისუფლეთო. სად არის იუსტიციის მინისტრი, როცა ასეთი რამეები ხდება ჩვენში? მინისტრმა განაცხადა, რომ ასეთ არა ნორმალურ პირობებში შეუძლებელია კანონიერი სასამართლოს მოწყობა. მე კი ვიტყოდი, რომ თუ მინისტრს არ ძალუძს მინისტრობა, მან ამაზე ხელი უნდა აიღოს.

შ. მესხიშვილი. როდესაც მე პასუხს ვაძლევდი ბ. ჩიქოვანს, სახეში მქონდა მხოლოდ მისი შეკითხვა, ბ. რ. გაბაშვილმა ახლა სხვა შეკითხვებიც აღძრა. მე ვრცლად მოგახსენებთ ყველა ამ შეკითხვებზე მაშინ, როცა აქ (ძალიან მალე) ლაპარაკი მექნება სასამართლოს სრულ რეორგანიზაციაზე. ახლა მხოლოდ შემიძლია განვაცხადო, რომ თუ ადმინისტრაცია არ არის მაგარი და მტკიცე, არავითარ სასამართლოს არ შეუძლია იარსებოს და შესაფერისად აასრულოს თავისი ფუნქციები. რაც რ. გაბაშვილმა სთქვა უსამართლოების შესახებ, სრული სიმართლეა. მე მეტსაც ვიტყვი. ფოთიდან დაწყებული და საგარეჯოთი გათავებული თვითნება რევოლიუციონერი ტრიბუნალები, რომელნიც ხშირად დიდ უსამართლობას ჩადიან—მე უკვე მივეცი სამართალში რამდენიმე წერილი ასეთი ტრიბუნალისა. ნურავის ნუ ჰკონია, რომ იუსტიციის მინისტრი შეურიგდება ასეთ უსამართლობას.. დასასრულ ისევ ვიმეორებ, რომ სანამ ადმინისტრაცია სათანადოდ არ მოეწყობა, მანამ სასამართლოსაც მუშაობა არ შეუძლია, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ გულზე ხელებს დავიკრებთ და დამნაშავეს არ დავსჯით. ჩვენ დღეიდანვე, როგორც დღემდე ვიცდებით გასამართლება ხდებოდეს განონიერი გზით.

ნ. რამიშვილი ბ. ჩიქოვანის შეკითხვას ჰქონდა ერთად ერთი აზრი: ეჩვენებინა ჩვენთვის, რომ აქ ხდება თვითგასამართლება, მაგრამ მთავრობის წარმომადგენელნი არავითარ ყურადღებას არ აქცევენო. ჩვენ მოველოდით, რომ შეკითხვის ავტორი ხაზს გაუსვამდა იმ გარემოებას, რომ ადგილობრივი ცენტრალური მთავრობა არავითარ ზომებს არ ღებულობსო. მან აქ მხოლოდ გვითხრა, რომ 9 შემთხვევა იყო თვითგასამართლების, ამათგან რვა სამართლიანი იყოვო (ჩიქოვანი: მე ასე არ მითქვამს). რამიშვილი: დიახ, თქვენ ბ. ჩიქოვანო აქ სთქვით, რომ 8 შემთხვევაში ბრალდება დამტკიცებული იყო, ხოლო მე-9-ე შემთხვევა ისეთი შემაძრწუნებელი და დამაფიქრებელი იყო, რომ ვერ მოვითმინე და ეს არის შეკითხვაც შემოვიტანე. როგორც სჩანს, ბ. ჩიქოვანს სცოდნია, რომ ასეთი თვითგასამართლება ხდებოდა და ის ამას არ ამხელდა. თუ ეს ასეა, მაშინ თვით ჩიქოვანიც პასუხს აგებს. ბ. ჩიქოვანი ვალდებული იყო, როგორც ეროვნული საბჭოს წევრი ეს გარემოება ეცნობებია მთავრობისათვის. (ჩიქოვანი: თქვენს სამინისტროში ხომ არ ვსხდებოდი). სამწუხაროა, თუ ჩვენს ეროვნულ საბჭოში გვყავს ისეთი ხალხი და პარტია, რომლებმაც არ იციან თავიანთი ვალდებულება. თუ რომელიმე საბჭოს წევრი დაინახავს რაიმე უსამართლობას, მას საშუალება აქვს ეს დაუყონებლივ მთავრობას აცნობოს ან პირადათ, ან წერილობით, ეს მათი მოვალეობაა. აქ გამოვიდა ბ. გაბაშვილი და დადხანს ილაპარაკა ვიღაც წიგნაძე და კვარაცხელიას შესახებ. მისი მოვალეობა იყო ასეთ რამეს თუ ჰქონდა ადგილი მთავრობისთვის ეცნობებია და ის შესაფერ ზომებს მიიღებდა. (ჩიქოვანი ადგილიდან: საკვირველებაა). დიახ, საკვირველებაა ის, რომ პარლამენტის წევრს მიუთითებენ თავის მოვალეობაზე და ის ამით განცვიფრებულია. ბ. ჩიქოვანის შეკითხვას ასე თუ ისე სახელმწიფოებრივი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ შეკითხვის ავტორმა მას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა დაუკარგა. მე ვაცხადებ მთავრობის სახელით, რომ არც ერთი ასეთი ცნობები მას არ მიუღია, რომ მიეღო სასტიკ ზომებს მიიღებდა ამის წინააღმდეგ. აქ რევოლიუციონურ ტრიბუნალების უსამართლობაზე ილაპარაკეს. მე უნდა განვაცხადო, რომ ტრიბუნალებმა დიდი სამსახური გასწიეს იმ გარდამავალ ხანაში, როც სასამართლო სულ არ მოგვეპოვებოდა. დიახ, ბ. გაბაშვილო, ჩვენი მთავრობა იმ დიდი რევოლიუციის შემდეგ მხოლოდ ახლა შეუდგა უფლებრივ ნორმების ჩამოყალიბებას.

ნუ დაგავიწყდებათ თქვენ, რომ საქართველოს მთავრობა მხოლოდ ორ თვეზე ხევარია, რაც შეუდგა სახელმწიფოებრივ მუშაობას და ამ მცირე ხნის განმავლობაში ყველაფრის გაკეთება შეუძლებელი იყო. თუ რევოლიუციონურმა ტრიბუნალებმა თითო-ოროლა შეცდომა ჩაიდინეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ არაფერი გაუკეთებიათ. მთავრობა ეცდება მომავალში, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით მოეწყოს სასამართლოები და ჩამოაყალიბოს მოქალაქეთა უფლებრივი ნორმები.

კ. ნინიძე. სანამ ჩიქოვანის შეკითხვაზე გადავიდოდე, უნდა აღვნიშნო თუ რა მნიშვნელობა და აზრი აქვს შეკითხვებს ევროპის პარლამენტში, როგორც აქ დღეს მოიხსენეს ყოველგვარ შეკითხვას პარლამენტში ის მიზანი და აზრი აქვს, რომ მიუთითოს მთავრობას იმ შეცდომებზე, რომლითაც მან დაარღვია კანონები პარლამენტის მიერ შემუშავებული. შეკითხვის ავტორი იქ აუცილებლათ მიუთითებს მთავრობას ამ კანონების და უფლებრივ ნორმების დარღვევაზე და პასუხს მოსთხოვს მას. აქ კი მ. ჩიქოვანი გამოვიდა და თავის შეკითხვის დასაბუთებას დროს განაცხადა, რომ ჩემს შეკითხვას სახელმწიფოებრივი ხასიათი აქვს, სხვა რამე არ იფიქროთ და პარტიული კინკლაობა არ ატეხოთო. მე აქ მაგონდება ერთი ბატონი, რომელმაც ლომი დახატა და ქვეშ მოაწერა ძაღლი არ გეგონოთ, ლომი არისო. თვით ჩიქოვანმა დაუკარგა შეკითხვას სახელმწიფოებრივი ხასიათი და ის უბრალო „პარტიულ კინკლაობის" საგნათ გახადა. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ როცა შეკითხვა შემოგაქვთ შესაფერი საბუთებიც უნდა გქონდეთ ხელშიო, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც დაუსაბუთებელი შეკითხვა წარმოადგინეს. ბ ნ ჩიქოვანს, როცა შეკითხვა შემოქონდა, მაშინ მე დარწმუნებული ვარ, რომ მას მის დასაბუთებლათ საბუთები არ მოეპოვებოდა. ეს იქიდან სჩანს, რომ შეკითხვა დაწერილია 31 ივლისს, ხოლო ის მე-8 ფაქტი, რომლითაც ჩიქოვანი თავისე შეკითხვას ამტკიცებს, მომხდარა მისივე სიტყვით, 1 აგვისტოს. აქედან ცხადია, რომ ეს ხალხი ჯერ შეკითხვას შეთხზავს და შემდეგ საბუთებს ეძებს. ეს გარემოება ამ ტრიბუნის შეურაცხყოფაა და სხვა არაფერი. (ივანიცკი: ამას მერე რა მნიშვნელობა აქვს?) ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ წერთ იმას, რასაც სიზმარში ხედავთ, მხოლოდ იმისთვის, რომ ეს სხვა მიზნებისათვის გამოიყენოთ. ნება მიბოძეთ ამას თავისი სახელი ვუწოდო: ეს არის იმერული ხრიკი. თქვენ სულ არ გსურდათ შეკითხვით ერთხელ კიდევ გაგელაშქრებინათ მთავრობის და რევოლიუციონურ ორგანიზაციების წინააღმდეგ. სწორედ ამისთვის დაგჭირდით თქვენ, ბ. ჩიქოვანო ნაძალადევის ს.-დემოკრატიული ბიუროს ხსენება. აქ შეკითხვის ავტორმა სთქვა, რომ ყველა ქალაქს სხვადასხვა ადგილებიდან მოყავთ ნაძალადევში და ეუბნებიან ს.-დემოკრატიული ბიუროში წამოდიო. მასთან მან განაცხადა: მე არ ვიცი, თუ რატომ ეუბნებიან ბიუროში წამოდიო. ბ. ჩიქოვანმა კარგათ იცის, რომ ნაძალადევში არის სახალხო გვარ. ბიურო და თუ ტუსაღს ეუბნებიან ბიუროში წამოდიო, სწორედ ამ ბიუროში მაყვან. ბ. ჩიქოვანს კი სურდა ამით ს.-დემოკ. ბიუროს წინააღმდეგ გაელაშქრებია, მაგრამ, როგორც ხედავთ, მიზანს ვერ მიაღწია. ამის შემდეგ ვის ატყუებთ ებო, საკითხს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და ამ მიზნით შემოიტანეთო? რაც შეეხება იმ საბუთებს, რომელიც აქ რ. გაბაშვილმა მოიყვანა, სრულიად უპოფძვლო და მოუღებელია. ბ. გაბაშვილი ვალდებული იყო დაესახელებია ის პირნი, რომელნიც ხელს აწერდენ „იმ განაჩენს", დაესახელებია ის სოფელი, სადაც ეს ფაქტი მოხდა და ის დაწესებულება, რომელმაც განკარგულება გასცა წიგნაძის დატუსაღების შესახებ საეროთო არჩევნების დასრულებამდე, მაგრამ ის ასე არ მოიქცა. მან მიუხედავათ იმისა, რომ ლომთათიძე რამოდენიმეჯერ შეეკითხა ადგილიდან—გვითხარი რომელ სოფელში მოხდაო, არაფერი სთქვა და ბოლოს ჩხეიძის სოფელი დაასახელა, ამ ნაირათ ეს ტრიბუნა გადაიქცა ისეთ ადგილათ, რომლიდანაც თავ თავისი გული ნადები გაუზარეს ერთმანეთს ბ. ჩიქოვანმა და რ. გაბაშვილმა. ეს შეიძლება სამე მოედანზე და არა აქ. ეს გარემოება პარლამენტის კათედრის შეურაცყოფაა. (რ. გაბაშვილი: უჩვენებს ორატორს დაწერილ განაჩენს და ამბობს: აი საბუთი, მადლობა ღმერთს დაწერილია). დაწერილი რომ არის ეს დიდ რამეს არ ნიშნავს. ყველა, რაც რომ დაწერილია მართალი იყოს, მაშინ ისიც მართალი იქნებოდ, რაც თქვენს „საქართველოშია" დაწერილი, მაგრამ ეს ასე არ არის ბ-ნო გაბაშვილო.

დასასრულ ორიოდე სიტყვა იმის შესახებ თუ რამდენათ გულწრფელათ იცავენ შეკითხვის ავტორი დ. ჩიქოვანი და მისი ამყოლი ნ. გაბაშვილი უფლებრიობას და სამართალს.

სასამართლო უმოქმედობას ჩვენს იმიტომ, რომ ხალხი მას არ ენდობა, როგორც ძველი წყობილების ნაშთს. ჩვენი სურვილია სასამართლოს განახლება. ამისთვის ვცდილობთ ჩვენ, სხვათა შორის, ერობის მოწყობას, რადგან ვიცით, რომ ერობა აირჩევს ადგილობრივ მოსამართლეებს და მოაწყობს ადმინისტრაციას. თქვენ კი, ბატონებო, საკანონმდებლო წინადადებაც კი შემოიტანეთ საბჭოში და ერობის არჩევნების გადადება მოითხოვეთ.

მიკვირს ამის შემდეგ როგორ არ გრცხვენიათ კანონიერებაზე და სახელმწიფოებრიობაზე ლაპარაკი. არა მგონია რომ ვინმემ დაიჯეროს თქვენი ცარიელი სიტყვები.

წინადადება შემოდის კამათის შემდეგ სხდომისათვის გადადების შესახებ.

მ. მაჩაბელი (ნ. ლ.) მოითხოვს კამათის გაგრძელებას და ამბობს, რომ არც ერთ ერთ საბჭოს წევრს დღეს უწოდებ ქურდი და საჭიროა დღესვე გაეცეს პასუხი. საკითხი მნიშვნელოვანია და გადადება შეუძლებელია.

ს მდივანი ქურდი აქ არა კაცსა არ უწოდებიათ, მხოლოდ საბჭოს წევრი ჩიქოვანს მოუთითეს თავის მოქალაქეობრივ მოვალეობაზედ საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია და სწორედ ამ მოსაზრებით მოვითხოვ, რომ კამათის გაგრძელება

შემდეგ ხდომაზე მოხდეს. საბჭომ უკანასკნელი წინადადება მიიღო და კამათის გაგრძელება მოხდება სამშაბათს.

ავ. ს—უა.

დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

10 აგვისტო.

ბერლინი. „ჩრდილო გერმანიის საყოველთაო გაზეთი“ იტყობინება, რომ ტყვეების გაცვლა საფრანგეთსა და გერმანიას შორის დაიწყო 1 ივლისიდან. გერმანიაში მოვიდა საფრანგეთიდან დღემდე 800 აფიცერი, 1800 უნტერ-აფიცერი და ჯარისკაცები და 1400 სამოქალაქო ტყვე. ამდენივე ტყვეები გაიგზავნა გერმანიიდან საფრანგეთში, შეთანხმება გვქონდა თვიურად 8 ათასი ტყვე გაგვეცვალა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა, ვინაიდან საფრანგეთმა ამისათვის საჭირო 3 მატარებელი ყოველ-რეულად ვერ მოგვცა.

11 აგვისტო.

სააგენტო აცხადებს: თფილისის რადიო სადგურს დღეს არავითარი ცნობა არ მოუწოდებიაო.

12 აგვისტო.

პარიზი. ავრთან საფრანგეთის ჯარების იერიშები ნთელი დღე გაგრძელდა. მანდიდიეს აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა 10 კილომეტრით წინ წაიწიეს. ფრანგების მიერ წამოყვანილი ტყვეები 9 ათას კაცამდე აღწევს.

სტოკჰოლმი. გაზეთი „დეგბლადეტი“ 7 აგვისტოს თარიღით სწერს: სისწრაფით უკან დახევა, რომელსაც გერმანელები დასავლეთ ფრონტზე აწარმოებენ, წინასწარი გეგმით უნდა სწარმოებდეს. ამ უკან დახევას მიზნათ უნდა ჰქონდეს დასახული, რათა ხელიდან გამოგლიჯოს მოწინააღმდეგე კოალიციას თავდასხმის ინიციატივა. გინდენბურგმა და ლიუდენდორფმა რუსების შეტევის დროს დაამტკიცეს, რომ მათ შეუძლიათ ეს უკან დახევა გამოიყენონ გამარჯვების მიზნით. ამიტომ მოსალოდნელია ახლანდელი უკან დახევა, რომელსაც სტრატეგიული ხასიათი აქვს, საზარალო დარჩეს შეთანხმების სახელმწიფოთათვის.

ბირლინი. ინგლისის მთავრობამ ცნობა მიიღო მოსკოვში მყოფი ინგლისის ელჩის შეპყრობის შესახებ. ამ შეპყრობას კავშირი აქვს არხანგელსკში საბჭოს წევრების დაზვერტასთან. დაპატიმრებულია აგრეთვე საფრანგეთის ელჩი.

ბუქარესტი. რუმინიის პარლამენტმა ერთხმად—109 ხმით, დაადგინა ყოფილი მინისტრ-პრეზიდენტი დასტოვოს პასუხისგების ქვეშ. ვინაიდან რუმინიაში პარტია გაჩნდა, რომელიც ომის მომხრეა, ბუქარესტის გაზეთი „ლიუმინა“ მოუწოდებს ამ პარტიას ანგარიში გაუწიოს წარსულ გაკვეთილებს და სასწორზე ნუ დადებენ ქვეყნის საქმეს.

კიევი. უკრაინის მთავრობამ რუმინიის მთავრობისგან თანხმობის ქაღალდი მიიღო, რომ დიპლომატიური წარმომადგენლობა მოეწყოს ბუქარესტში და კიევში.

ბერლინი. გაზეთების ცნობით ჩეხოსლოვაკებს მრავალათ დაუხოცავთ ტყვე-ბალშევიკები. ტყვეების გაცვლის გამგე კომისიამ გადასწყვიტა საჩქაროდ გაიყვანოს გერმან. ტყვეები იმ ადგილიდან, რომლებსაც დასაპყრობათ ემუქრებიან ჩეხო-სლოვაკები.

თფილისის რაიონ.-სადგური. აცხადებს: ვინაიდან 12 აგვისტოს მთელი ღამე ჰაერ-ქუხილი იყო, 11 აგვისტოს რადიო-დეპეშების მიღება შეუძლებელი იყოვო.

ახალი ამბები

◆ **დღეს საღ. 6 საათზე შესდგება თფილისის კომიტეტის ს. დ. მ. პ. კრება.**

◆ **ბონების დასამზადებელი** ექსპედიცია ამით აცხადებს, რომ პირველ რიგში გამოშვებულ სამ მანეთიან ბონების უკანა გვერდზე ქართულ ნაბეჭდ „ო“-ს მაგივრათ დაბეჭდილია „ჳ“ (იგივე ასო ხელნაწერ შრიფტისა) და ამ ერთ მიზეზის გამო სამ მანეთიანი ფულები არ უნდა იქნეს მიღებული ყალბათ.

◆ **გაჯამალული საქონლის აღმოჩენა** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით მანთაშევის ქარვასლაში და ზოგიერთ სხვა სადგომებში ახდენს ჩხრეკას შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საგანგებო რაზმი რომელმაც უკვე აღმოაჩინა მრავალი საქონელი, სპეკულიანტების მიერ გადამალული, ისე სხვადასხვა სახაზინო და საზოგადო დაწესებულებებიდან გატაცებული. მაგალითრ სარდაფში აღმოაჩინეს მრავალი ნაქურდალი საქონელი. აქ იყო: საბნები, თეატრეულები, პირსახოცები, უნაგირები, მედიკამენტები, სპილენძის ტაშტები, სპილენძის საგნები, ტანისამოსი და სხ. აღმოჩენილი ნივთები, რომლის ფასი 100,000 მან. აღემატება მოტაცებულია საერთო კავშირის საწყობებიდან. მეორე ადგილას იმავ სარდაფში (მანთაშევის) აღმოაჩინეს 6,000 ფ. სპილენძი. დიდძალი გადამალული თუთუნი სხვადასხვა ხარისხის 30,000 ფუთზე მეტი. სეელანოვის სარდაფში აღმოაჩინეს ლიმონის სიმჟავე, საპონი, კონსერვები, ყავა, საწერი ქაღალდი, ბაწრები, სათამაშო კარტები, 30 ათასი ფუთი საგაზეთო ყვითელი ქაღალდი და მრავალი სხვ. აღმოჩენილ საგნებთა ზოგრი ბევრი იყო სპეკულიაციის მიზნით გადამალული. აღმოჩენილ საქონლის ღირებულება 200 000 მანეთს აღემატება.

◆ **სამხედრო სახელმწიფო** 10 აგვისტოს მოხდა საქართველოს სამხედრო სახელმართლოს სესიის გახსნა, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ოფიცერ-ჯარისკაცებისაგან. სხდომას დაესწრენ: სამხედრო მინისტრი გიორგაძე, საქართველოს ნაციონალური საბჭოს სამხედრო სექციის წევრები, ცენზურ მათალიონების უფროსები. სხდომის გახსნამდე გადახდილ იქნა პარაკლისი. პირველი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა პოლკოვნიკი როინაშვილი, სამხედრო მინისტრ გიორგაძის მისასალმებელ სიტყვით გაიხსნა.

◆ **განმარტება.** 8 აგვისტოს საღამოს დეპეშებში იყო მოთავსებული ცნობა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ნ. რამიშვილის და სომხის ეროვნული საბჭოს წარმომადგენლის შორის მოლაპარაკების შესახებ, რომელიც სინამდვილეს არ შეეფერება. ნ. რამიშვილმა განუცხადა სომხის ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელს საქართველოში: სახალხო განათლების მინისტრს მინდობილი აქვს გაატაროს სრული ნაციონალიზაცია სწავლის საქმეში მომავალ სამოსწავლო წლიდან. აქ საუსებით დაცული იქნება უმცირესობით წარმოდგენილ ერთა ინტერესები. თუ ის ვიდა, რომელიც აქვე მინისტრს ანკეტის წარმოსადგენათ მინიშნებული, თქვენ გიცოტავებათ, მაშინ შეგიძლიათ მთავრობას სთხოვოთ ვადის გაგრძელება.

◆ **ნავთი საქართველოში.** ინჟ. ოგანეზოვის მეთაურობით სპეციალურმა კომისიამ თფილისში მოიტანა სხვადასხვა ხარისხის ნავთი კომისიას შესაძლებლად მიაჩნია საქართველოში საკმაო ნავთის შოვნა.

◆ **ჰაობის ამოშრობა.** ფოთის ქალაქს ახლო მდებარე რაიონებში ჰაობის ამოსაშრობათ მთავრობას განკარგულებით მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია, რომელიც ყოველ მხრივ გამოარკვევს ამ ჰაობის ამოშრობის საკითხს. ამოსაშრობია 100 ათასი დესეტინა ჰაობი.

◆ **ხოლერა.** უკანასკნელ დღის განმავლობაში ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს 5 ხოლერით და 11 ხოლერის ნიშნებით ავადმყოფი. 5 მორჩა და გამოეწერა. 7 გადაიცვალა.

◆ **ქრთამი.** საჭონლის გაცვლა-გამოცვლის განყოფილების უფროსი ტრუნოვს ვინმე კაპიტ. კავალსკიმ შეაძლია 300 ათასი მანეთი, რომ მას ნებართვა მიეცა 5 ვაგონი შაქარისა და 400 გირ. ჩაის განჯაში წაღების. ტრუნოვი დასთანხმდა და დაიბარა მეორე დღეს; ამავე დროს მან განუცხადა სასურსათო მინისტრს, წაიყვანა მილიციონერები და კოვალსკი დაატუსაღეს. კოვალსკიმ განაცხადა, რომ წინათ, მან ქრთამით გაიტანა 20 ათასი ფუთი თამბაქო და 400 გირ. ჩაი.

◆ **ს. წყნეთში მიტინგზე** 11 აგვისტოს სახალხო სრული ნდობა გამოუცხადა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, იცნო სახალხო გვარდია, როგორც რევოლიუციური ჯარი, დამცველი რევოლიუციისა და ხალხის ინტერესების და მიჰრს უგერს მიწების შესყიდვას.

◆ **დატუსაღება.** გარნიზონის უფროსმა დაატუსაღა ოქ. მალეთის ჩვენებრომნი: მუხა-ოღლი მამედ, ალი-ჯრნოღლი, მამედ იაკუბ-ოღლი და ალი ახმედ ოღლი. ისინი გადაეცა ბათუმის მისიას, რომ დაუყონებლივ გაგზავნონ საქართველოს რესპუბლიკიდან

◆ **თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** განათლების მინისტრი სთხოვს ქალაქის თავს დახმარება აღმოუჩინოს თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობას, რომელსაც განუზრახავს მოაწყოს თფილისში სტუდენტების თავშესაფარი, რათა ღარიბ სტუდენტთა მდგომარეობა ცოტათი მაინც შეამსუბუქოს.

◆ **დუშეთიდან** საგამომძიებლო კომისია შემდეგს იტყობინება: დუშეთში კიდევ არ არის სრული სიწყნარე; ადმინისტრაცია ვერ მოქმედობს შესაფერისად, რის გამო კომისიამ ვერ შეძლო თავისი მოვალეობის სისრულეში მოყვანა. ბევრი აღმოჩნდა უდანაშაულოთ დატუსაღებულნი. 48 კაცისაგან, რომლებიც ციხეში იხდენ, 40 განვათავისუფლეთ, რადგანაც მათ წინააღმდეგ არ იყო სერიოზული ბრალდებები დანარჩენ 8 კაცის წინააღმდეგ სერიოზული ბრალდებებია წამოყენებული; კიდევ ვგროვებთ ცნობებს. ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალში გამოვაკვლევთ, თუ ვინ არის მთავარი დამნაშავე

◆ **სახალხო გვარდიელთა კრება.** ერთობის უბნის მუშათა კლუბში დღეს, სამშაბათს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია ამავე უბნის სახალხო გვარდიელთა საზოგადო კრება. ვითხოვთ ყველა ამხანაგებს აუცილებლათ დაესწრონ. კრების დაესწრება წევრ. ჯუღელი.

◆ **მიწის რეფორმა.** ოთხშაბათს, საღამოს 7 საათზე, ერთობის უბნის მუშათა კლუბში ამხ. ონიაშვილი მოხსენებას გააკეთებს მიწის რეფორმის შესახებ.

◆ **მე-2 უბნის კომისარიატში** იწყება რამოდენიმე ათასი მ. ნაპოვნი ქუჩაში 9 მარიამობისთვეს ამა წლისა. პატრონს შეუძლია მოიკითხოს აღნიშნულ კომისარიატში სათანადო საბუთების წარდგენით.

◆ **მარილი.** ფოთში ჩამოიტანეს 140 ათასი ფუთი მარილი. 70 ვაგონი თფილისში გამოგზავნეს.

ქრებები და მიტინგები

დღეს, დილის 10 საათზე, ძმ. ეფიმოვების ცირკში შესდგება ქ. თფილისის მილიციის საერთო კრება.

— მუშტაიდის კლუბში, სამშაბათს, 13 აგვისტოს, რუსული დრამატიული არტისტების დასი გამართავს რუსულ წარმოდგენას.

— სამშაბათს, 13 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, კოოპერატივის სასადილოში, გეორგიევისა და ლორის-მელიქოვის ქუჩების კუთხეში, ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, შესდგება კოოპერატივის მოსამსახურეთა საერთო კრება.

პროვინციის ქრონიკა

ქ. ოზურგეთი. ფოთაზე თავდასხმის გამო 9 აგვისტოს ლანჩხუთში დაატუსაღეს ნატანების მღვდელი აარონ დონდოლაძე, რომელიც გაჭედული იყო და იმალებოდა მაზე იჭერს მიტანის გამო. ყაჩაღმა მაქაბერიძე ხელი დაადვა ნატანების ფოსტის უფროსს შ. ჭყონიას, რომელიც ჯერ არ გამოუტეხიათ. მიღებულია ზომები დანარჩენების აღმოსაჩენათ, ჯერ-ჯერობით-კი დაჭერილია 4 და 2 მოკლულია. იქვითაა დაჭერილი ათამდე.

ს. აბაშა (სენაკის მაზრა). 7 აგვისტოს აქ შემდეგ უბედურებას ჭონდა ადგილი: საღამოს 9 საათზე ადგილობრივ მცხოვრებ ავქსენტი ნ. ჭოიავას თავს დაესხენ ბოროტ-გამზრახველები (6—8 კაცამდე) სახლის მიახლოვებისას მათ ორჯელ გასროლათ; ამის გამო მილიციონერი ვასილი თ. ჭოიავა, რომელიც იქვე ახლოს სასამართლოსთან ყოფილიყო, წასულა იქითკენ,, საითაც მოესმა ეს ხმა. ეზოს კარებთან რომ მისულა, მაზე რევოლვერი დაუხლია ერთს ბოროტ-გამზრახველთაგანს, რომელიც იქვე ყოფილა ჩასაფრებული და სასიკვდილოთ დაუჭრია. ამას შემდეგ ასტყდა საშინელი სროლა, სოფელში ერთგვარი პანიკა გამეფდა. როცა სროლა შესწყდა, გამოირკვა შემდეგი: სახლის პატრონ ავქსენტი ჭოიავას სროლის დროს დროა ფშოვია და რევოლვერის სროლით უკანა კარებ-დან გაქცეულა, რის შემდეგ ბოროტ გამზრახველები სახლში შესულან, მაგრამ არაფერი არ მოუთხოვიათ და მიმალულან. მილიც. ვასილი ჭოიავა მესამე დღეს მოკვდა, გამოძიება სწარმოებს.

ახალ-სენაკის ვაჭთა გიმნაზიაში მისაღები გამოცდები დაიწყო 2 სექტემბრიდან ოქტომბრის 30 აგვისტომდე.

ბორჯომის ვაჭთა გიმნაზიაში მომავალ სასწავლო წლის დასაწყისიდან თავისუფლდება შემდეგი საგნების ადგილები: სიტყვიერებისა, ბუნების-მეტყველებისა, ფრანგული და გერმანული ენებისა და ხაზვა-ხატვისა. მსურველებმა თხოვნა და შესაფერი დოკუმენტები ხონის ვაჭთა გიმნაზიის გამგის სახელზე უნდა გამოგზავნონ.

ლეჩხუმის ფრონტი

გორ-მაღალას დაჭერის შემდეგ ორ აგვისტოს გაემგზავრა მზვერავი რაზმი —ნაწილი გვარდიელებისა ვასილ შარაშიძის მეთაურობით სოფ. „ნაქვერში“. სოფელში უვნებლად შევიდენ. მათ მცხოვრებნი აღტაცებით შეეგებენ. ბევრნი თხოულობდენ, რომ გვიშველეთ როგორმე და გაგვანთავისუფლეთ ამ ბრბოსაგან, თორემ ვერ ავუვედით მათ რჩენასო, თან გვიტაცებენ ყველაფერს და გვაწვალებენო, თვით ტყავს გვაძრობენ და მენშევიკებზე გვეუბნებიან: ისინი კაცი-ჭამიები არიანო. ყველაფრამდე გაგვაძარცვეინენ, ბატონ ყმობას აღადგენენ, შიწებს გაჩომეინენ და უნდათ თვით ფუფუნებაში იცხოვრონო. ისინი მდიდრების დაჩირავებული არიანო. სოფლელები ათასგვარი ტყუილებით დაურწმუნებიათ, აუცილებიათ, ზოგი ძალით გაუწვევიათ საბრძოლველათ. წემოულ ბოტერორი და თან სასტიკათ ეპყრობოდენ ვინც მათ არ დაემორჩილებოდა.

ნოქვარის სოფლის მღვდელზე რისხებულან, დაუჭერიათ ი, სიცხე პანაქებაში ბეშხ სათხ ... მაზე ... მაშინ გამოვიდა ... გამგეობა ... ბრძანა ... ლად შრაპნელი გვესროლა, რამ სხვადასხვა აზრები დაბადა: ზო ამბობდა: ალბათ, დამხმარე ძალა მოს ლიათ, მაგრამ ბოლოს გამოირკვა, რ ეს მართალი არ იყო. ამ ხმებს ბრბ ძალის მიმატების შესახებ ჩვენს რაზ სულიერი მდგომარეობა მაინც არ შ ურყეევია. მთელი ღამეები სანგრებში ყოფებოდით.

ხუთ აგვისტოს რაზში დასაზვერათ წ ვიდა და სოფლის განაპირას გორ ზე, სახელდობ—საფიჩეთში აღმოაჩინ შეხიზნული ბრბო იმ ერთი ზარბაზნი რომლითაც ჩვენ გვესროდენ. მაგრამ კლდით შეზღუდული გორას ერთი გზ ჰქონებია შესავალი და სან. მ სოფელ ჩვენები არ ჩაიგდებენ ხელში, მანამ მისი აღება არ ხერხდება. ხუთ აგვის ტოს ცნობა მიიღო ჩვენმა სარდალმა სოფ. ნაღვედი დიდი წინააღმდეგობა მორჩილებაზეო. მან სხვა სოფლებიც აი ყოლიაო. იმავე საღამოს ექვსი ყუმბარ გადაისროლა ჩვენმა ზარბაზანმა.

6 აგვისტოს გენერალ სუმბათაშვილ დან პოლკოვნიკ იოსკრველს წერილ მოუვიდა, რომ ლეჩხუმის სოფლებიდ წერილი მივიღე, შერიგებას თხოულ ბენო. ეს დღე ისე გატარდა, რომ არ ერთ ფრონტიდან სროლა არ მოისმოდ შვიდ აგვისტოსაც სიწყნარე იყო. სჩ მტერმა თავისი ძალის დიდი სისუს იგრძნო.

„ვეკუა გიორგაძე.

სახალხო სპოლის გარშემო

ამ საერთო კრიზისის ხანაში ცხოვრე ბის იდეალურათ მოწყობაზე ლაპარაკი მეტია. მთ უფრო, რა თქმა უნდა, სა ჭირო და საშურია ცხოველ-მყოფელ დებითი, შემოქმედებითი მუშაობის და წყება. ცხოვრების ზოგიერთ დარგში ასეთი მუშაობა უკვე დაიწყო, რაიც ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის მოყვარეებ თვის ფრიად სასიამოვნოა.

რუსეთის ცხოვრება

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოხსენება *)

დამოკიდებულება სხვადასხვა სახელმწიფოებთან.

შეთანხმების სახელმწიფოთა შორის ყველაზე კარგის თვალით უცქეროდა რუსეთს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები. წარსულ ყრილობაზე პრეზიდენტ ვილსონისაგან მისალმების დეპეშაც კი მივიღეთ. იმ დროს, როცა ყველა ლაპარაკობდა იაპონიის ჩარევაზე ციმბირის საქმეებში, მთავარი ხელის შემშლელი ამ საქმეში იაპონიისთვის იყო შეერთებული შტატები. ეკონომიურ საკითხებში გერმანიასთან შეთანხმების შესახებ მოლაპარაკება გვაქვს. ამავე დროს ვცდილობთ ასეთივე მოლაპარაკება ვიქონიოთ და შევუთანხმდეთ შეერთებულ შტატებს და იაპონიას. მიუხედავათ იმისა, რომ იაპონიამ დესანტი გადმოსხა ვლადივოსტოკში, ჩვენ მაინც იმედი გვაქვს იაპონიასთან მეგობრულ კავშირს დავიჭერთ.

საფრანგეთის ფართო წრეებში რუსეთის საბჭოთა მთავრობისადმი უკმაყოფილება გამოიწვია სესხების გაუქმებამ. იმ დროს, როცა მოსალოდნელი იყო იაპონიის და აგრეთვე სხვა მოკავშირეთა რუსეთის საბჭოთა ტერიტორიაზე შემოჭრა ამ დროს საფრანგეთის ელჩმა ნულანსანმა განაცხადა, რომ შესაძლოა მოკავშირეთა გამოსვლა საბჭოს მთავრობის წინააღმდეგო. როდესაც რუსეთის მთავრობამ მოითხოვა ელჩის გაწვევა, საფრანგეთის მთავრობას პასუხი არ მოუცია და ამ ჟამად ნულანსი იმყოფება ქალაქ ვოლოგდაში როგორც კერძო პირი. საფრანგეთის მთავრობამ თავის ტერიტორიაზე არც კი მიიღო საგანგებო მინდობილებით ჩვენი მთავრობის მიერ გაგზავნილი კამენევი. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ რამოდენიმეჯერ მოვსთხოვეთ საფრანგეთს ჩვენი ჯარების დაბრუნება, საფრანგეთის ფრონტზე მყოფ ჩვენი ჯარებიდან, ჯერ არც ერთი ჯარისკაცი არ დაუბრუნებიათ რუსეთში. სხვადასხვა სახით ჩვენს ჯარისკაცებზე მათ ძალდატანება მოახდინეს, რომ ისინი შესულიყვნენ რუსთა ლეგიონში ომის გასაგრძობათ. ბევრი ჩვენი ჯარისკაცები, რომლებიც სცნობენ საბჭოთა მთავრობას და არ დაემორჩილენ საფრანგეთის მთავრობას, დასახლებულ გაგზავნილ იქნენ აფრიკაში. როცა საკითხი აღიძრა ჩვენი ჯარისკაცების დაბრუნებაზე, საფრანგეთმა მოითხოვა ჩეხო-სლოვაკების რუსეთიდან გაყვანა, რომელთა შესახებ საფრანგეთი დიდ მზრუნველობას იჩენს. როცა ჩეხოსლოვაკების გაყვანება დაიწყო, მაშინ საფრანგეთის ელჩმა განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკებისთვის იარაღის აყრას ის შეხედავს, როგორც არა მეგობრულ აქტს, ამაში მას მხარი დაუჭირა ინგლისის, იტალიის და ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა.

საფრანგეთის მსგავსად ინგლისი არ მოქცეულა. მან არა თუ დახურა თვისი საზღვრები რუსეთის წარმომადგენლებისათვის, არამედ—საქმიანი დამოკიდებულობაც კი დაიჭირა რუსეთის წარმომადგენელ ლიტვინოვთან. მას უფლება მიეცა ელჩებს მიღების და გამოგზავნის, მაგრამ ის მოპყრობა, რომელსაც იჩენენ ჩვენი წარმომადგენლისადმი ინგლისელები, არ შეჰფერის რუსეთის რესპუბლიკას. სახლის პატრონმა ჩვენი წარმომადგენელი დაქირავებული ბინიდან გამოაგდო. სასამართლომ არა თუ სახლის პატრონის მხარე დაიჭირა, განაჩენშიაც კი საბჭოთა მთავრობის შეურაცხმყოფელი აზრები გაატარა. ჩვენს წარმომადგენლებს ინგლისში შესვლის ნებას აძლევენ, მაგრამ სასტიკად სჩხრეკენ. როცა ჩვენი ამხანაგები კამენევი და ზალკინი ინგლისში მივიდენ, მათ წაართვეს რწმუნების ქაღალდები და მხოლოდ წამოვლისას დაუბრუნეს. ჩვენი ამხანაგები იძულებული გახადეს პირველივე გემით უკან გამობრუნებულიყვნენ. პოლიცია მათ გამოცილებისას უზრდელურათ ეპყრობოდა. ჩვენს საელჩოში მოსამსახურე ზოგიერთი პირები ინგლისიდან ისე გაძევეს, რომ ლიტვინოვს ნახვის ნებართვაც კი არ მისცეს. ძველ საელჩოთან და აგრეთვე ძველი მთავრობის კომიტეტთან ინგლისელები კარგს განწყობილებაში არიან. ეს დაწესებულებები კი საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგო დაწესებულებებია. მთელს ინგლისში ეწევიან სასტიკ აგიტაციას საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. მალინი გლასგოში ჩვენს ელჩად დანიშნული და ავსტრალიაში დანიშნული სიმონოვი ინგლისმა არ სცნო და მეორეჯერ მიუსაჯა ხუთი წლით კატორღა ამხანაგ მაკლინს. მეტად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა ჩვენი ელჩი ლიტვინოვი ბრესტის ხელშეკრულობის დადების წ. ყვითელმა პრესამ მას დიდი შეურაცყოფა მიაყენა. ვერ ახიან ინგლისში რუსეთის მოქალაქენი კარგ პირობებში, გაზეთების ფურცლებზე ჩვენი მოქალაქეების წინააღმდეგ სასტიკი აგიტაციაა. ამ მოქალაქეთა რუსეთში დაბრუნებაც ძნელი საქმეა. კერენსკის დროს დადებული ხელშეკრულობა, რომლითაც ინგლისს უფლება ეძლევა რუსეთის მოქალაქენი ჯარში ჩარიცხოს, ახლაც ტარდება ცხოვრებაში. ამ წლის დასაწყისში ჩვენმა წარმომადგენელმა პროტესტი განაცხადა, მაგრამ მას უთხრეს,—რომ ინგლისში ცხოვრების ნება არ აქვს ასეთ მოქალაქეს, რომელიც ნაციონალური დაცვის საქმეს არ ეხმარებაო. რუსეთის მოქალაქეებს მუშათა ბათალიონებში ჩავრიცხავთო. ბევრი ჩვენი მოქალაქენი შემდეგ ეგვიპტეში გაგზავნეს ებრაელთა პალესტინის ლეგიონში ჩასარიცხად.

5 აპრილს იაპონიის დესანტთან ერთად ვლადივოსტოკში ინგლისმაც გადმოსხა 50 კაცი. ინგლისის გაზეთების დიდი ნაწილი მოითხოვს თავის მთავრობისაგან ციმბირის საქმეებში ჩარევას. ამის წინააღმდეგნი არიან არა თუ მარტო მოწინავე მუშათა წრეები, არამედ —დიდი ნაწილი ლიბერალებისა და აგრეთვე კონსერვატორები. მთავრობას ჯერ ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

ამ დროს, როცა რუსეთი მოკავშირეებთან ერთად იბრძოდა, გერმანიის ნაპირებთან მდგომ იქნა ინგლისის სამხედრო გემები მურმანიის ნაპირებთან სდგომ გემები მურმანიის ზღვა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო თვალსაზრისით რუსეთსა და მის მოკავშირეთა შორის. ამ გზით გავიდენ რუსეთიდან მოკავშირე სახელმწიფოთა სამხედრო სპეციალისტები ბრესტის ხელშეკრულების შემდეგ. ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ჩვენ რამდენჯერმე მივმართეთ ინგლისს, რომ მას მურმანის ნაპირებიდან გაეყვანა სამხედრო გემები. 14 იანვარს ოფიციალურადაც მოვითხოვეთ გემების წაყვანა. 10 დღის შემდეგ ჩვენი მოთხოვნისა ინგლისმა იქ ათასი კაცისგან შემდგარი დესანტი გადმოსხა. როცა ჩვენ მოვსთხოვეთ ჯარების უკანვე დაბრუნება, გვიპასუხეს: თავი უნდა დავიცვათ გერმანელ ფინელთა მოსალოდნელი თავდასხმისაგანო. იმ დროს, როცა ჩეხ სლოვაკები კონტრ რევოლიუციონურ ბრძოლას აწარმოებდენ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ აუცილებელი საჭირო მურმანას ნაპირების განთავისუფლება.

გერმანია შეერთებულ შტატებთან, ვფიქრობთ, ეკონომიურ კავშირს შეჰკრავს. ასეთივე კავშირი გვსურს შევკრათ ინგლისთან. ჩვენ ვიცით, რომ ინგლისს გახატონებულ კლასთა წრეებში არის მიმდინარეობა რუსეთთან დაახლოვების შესახებ. ინგლისის შუშებში საბჭოთა მთავრობას საკმაო თანამგრძნობნი ჰყავს.

ს ფრანგეთთან და შეერთებულ შტატებთან ერთად მიიღეს მონაწილეობა იტალიამ და ინგლისმა ჩეხოსლოვაკების სასარგებლო განცხადებაში. უკანასკნელ ამბებამდე იტალიის წარმომადგენელი ნდობით და თანაგრძნობით ეპყრობოდენ რუსეთის მთავრობას. ბელგიის აგენტებიც თანაგრძნობას გვიცხადებდენ.

უბედური სერბიის ხალხი მთელი თავისი დღევანდელი მდგომარეობით იძულებულია რუსეთის მშრომელ კლასთან სოლიდარული დამოკიდებულება იქონიოს. რუმინიის მთავრობასთან დამოკიდებულებას არ უნდა შეურიოთ რუმინის ხალხთან დამოკიდებულება. უკანასკნელში (რუმინიის ხალხში) უკვე დაიწყო შეცვლა რუსეთის რევოლიუციონურმა ტალღებმა: რუმინიის მთავრობასთან ჯერაც არ არის დამყარებული კარგი დამოკიდებულება.

ნეიტრალურ სახელმწიფოთა შორის შვეიცია იცავდა გერმანიის მოქალაქეთა ინტერესებს, დანია-კი—ავსტრო-უნგრეთისას. სკანდინავიის სახელმწიფოებთან ჩვენ ვცდილობდეთ დავგემყარებია მჭიდრო ეკონომიური კავშირი. ჩვენი მოქალაქეთა და გერმანიის სამხედრო ტყვეებთა ინტერესებს იცავდა ისპანია, ხოლო საბჭოების მთავრობას ისპანიის მთავრობა მეტის მეტად ფრთხილად უყურებდა და ამ შემთხვევაში თავს იკავებდა. ისპანიიდან მთავრობა არ უშვებს ჩვენს მოქალაქეს. შვეიცარიის მთავრობამ თუმცა თანხმობა განაცხადა ჩვენი წარმომადგენელი ეცნო, მაგრამ მაშინვე არ დათანხდა ჩვენი წარმომადგენლის, ბერგჰოლმის მისიის პერსონალის დაშვებაზე.

რაც შეეხება ჩვენს დამოკიდებულებას ყველა ამ სახელმწიფოებთან, აზის კერძო საკუთრების დარღვევის შეშფოთ, ეს გარემოება თავისთავად გამომდინარეობს მუშა-გლეხური დიქტატურიდან. რამდენათაც ეს დარღვევა კერძო საკუთრების უფლებისა ხდებოდა საკანონმდებლო გზით, ცენტრალური, განდ ადგილობრივი მთავრობის მხრით, იმდენათ მას ემორჩილებოდენ გარეშე ქვეშევრდომნიც. რამდენიმე ხდებოდა უწესრიგო აქტები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდენ მოფიქრებულ ეკონომიურ პოლიტიკას, იმდენათ სცდილობდა საგარეო საქმეთა კომისარი ადგილობრივ საბჭოებზე გავლენა მოეხდინა, ამ საკითხზე ახლა მუშავდება ინსტრუქცია.

ჩვენი პოლიტიკა აღმოსავლეთში განისაზღვრება ზავის შესახებ გამოცემულ დეკრეტით, რომელიც ერთხმად მიიღო სრულიად რუსეთის მუშ. და ჯ. რ. საბჭოების ყრილობამ 26 ოქტომბერს 1917 წ.

აღმოსავლეთში იმპერიალისტურმა ომმა შექმნა განსაკუთრებული სახე საიდუმლო დაპყრობისა. ეს ეგრედ წოდებული უფლება ევროპიული კონკისტის მოწყობისა და კაპიტულიაციის ინსტიტუტი იმპერიალისტურმა მთავრობებმა აღმოსავლეთში შექმნეს თავისი ქვეშევრდომთათვის და სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის განსაკუთრებული პირობები. ისინი აწყობენ „ფაგტორიებს“ (ე. ი. პატარა მოსახლეობას), სადაც ფეოდალურ-ბრივი მცხოვრებნი მოწებათ არიან გადაქცეულნი. სოციალისტურ რუსეთს არ შეუძლია შეურიგდეს ამ გარემოებას. სოციალისტურმა რუსეთმა ოქტომბრის რევოლიუციის პირველ დღიდანვე გაუცხადა, რომ ის უარს იმბობს აღმოსავლეთში ასეთ უფლების განმტკიცებაზე და მთელი თავისი ძალღონით ეცდება ნელი შეუწყოს აღმოსავლეთში ამ დანაშაულო ხალხს თავის უფლების აღდგენაში. ჩვენ უარვყავით ყოველგვარი საიდუმლო ხელშეკრულებები, რომლითაც აღმოსავლეთის მმართველმა წრეებმა ხალხის ფართო მასების თავისუფლება შებოჭეს და ასეულ წლობით დაჩაგრონეს ცარიზმს. ჩვენ მაშინვე გამოვიყვანეთ ჩვენი ჯარები სპარსეთიდან. ჩვენ მიერ დაპყრობილ ადგილებიდან და გამოვიხმეთ იქიდან სამხედრო ინსტრუქტორები, რომელთა მოვალეობას შეადგენდა ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან შეედგინათ ჯარები რუს-კაპიტალისტების დასაცავად და სპარსული აბსოლიტიზმის გასამაგრებლად. ჩვენ ვაცნობეთ ჩინეთს, რომ უარს ვამბობთ ჩვენი მთავრობის მიერ მანჯურიაში დაპყრობილ ტერიტორიაზე და ჩვენს უარს ადვადგინოთ ჩინეთის სუვერენული უფლებები იმ ტერიტორიაზე, სადაც გაყვანილია აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა, რომელიც ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ ჩინეთს. ჩვენ ხალხს (რადგანაც ძვირათ უზის მას ამ გზის გაყვანა). ჩვენ გამოვიხმეთ ჩინეთიდან ყველა სამხედრო დამცველი რაზმები—„ხორანები“, რომელნიც გაგზავნილი იყო იქ ძველი და კერენსკის მთავრობათა მიერ. ჩვენ მზათ ვართ უარი ვსთქვათ, რომ ჩვენს მოქალაქეთ არ ქონ-

*) იხ. „ერთობა“ № 168, 169.

ველს ნაყოფიერ საზოგადოებრივ
ობას აუცილებლად წინ უძღვის
ია გაცვლა-გამოცვლა, რაც სა-
ლად ედება მომავალი მუშაობის
ნაობას, მის მიზან შეწონილობას.
მიზანი გარკვეული არ არის, თუ ამ
ის შესაფერი საამშენებლო გეგმა
სწარ გათვალისწინებული არა გაქვთ,
თქმა უნდა, შრომაც ფუჭად ჩაივ-

დებითი მუშაობის მხრით მეტის
უნებრივ მდგომარეობაშია სახალხო
ოლების საქმე. დგება სამოსწავლო
ი და თქვენ არ ხედავთ საამისო
ადის ჩვენ არ ვიცით, რა ხდება
სარიატში, ხოლო თვით მასწავლე-
ა უმრავლესობა კი ამ მხრივ ხელს
ანძრევს, თავს არ იტკივებს. უბრა-
ხალხსაც რაღაც გულის აცრუება
ობა.

„ნასწავლმა ხალხმა დაგვღუპა,
ი“, გესმის ხშირად უბრალო შეუგნე-
ი „მოჭალაქისგან“ და გული გიკვდე-
უნებურად გაგონდება კრილოვის
ის ერთი გმირი. რა თქმა უნდა
ი მოვლენა მწარე ნაღველის გამომ-
ვია, მაგრამ ეს გულს კი არ უნდა
ტეხდეს. გვახსოვდეს უნდა, რომ ეს
ოებითი, წარმავალი მოვლენაა. და
უფრო მეტ აქტივობას გამოვიჩენთ
ენ, ვის გულთან და სულთანაც ახლოა
ალხო განათლების საქმე, მით უფრო
რე გაივლის ეს საზოგადოებრივი
ხიკის რეაქცია.

„შენდებოდეს, შეეწიე, იქცეოდეს
შეესი“-ო, ამბობს ხალხი და არა თუ
ბობს, ასე იქცევა კიდეც ამისი მაგა-
ითების ძებნა მაინცა და მაინც შორს
წაგვიყვანს. ჰო და, მაშასადამე, სა-
რო ყოფილა ამშენებლობითი მუშაო-
ს დაწყება, ეს მუშაობა უმთავრესად
ხიდან უნდა იწყებოდეს. საშვალო
ოლა, დაბალი სკოლის ზედ ნაშენია, მა-
სადამე ჯერ უმთავრესად საძირკველზე
ნდა ზრუნვა, ამ უკანასკნელს უნდა მო-
ვრება. ერის გამარჯვება ცხოვრებასთან
ომავალს ბრძოლაში სახალხო სკოლას
ეძლია. ასეულიც კარგი ჰოლიტიკოსი
ყვედეს, თუ ხალხი საკმაო საღი ცოდ-
ით აღჭურვილი არ არის, ჩვენი ნორჩი
სპუბლიკის საქმე წასულია. არავინ
ი იფიქროს, რომ მარტო პროპაგანდა-
ტაცია უშველის ხალხს...

მარტო მთავრობის თვალში შეცქერა
საქაო არ არის. სახალხო მასწავლებ-
ებმა, მათმა ორგანიზაციებმა თავს
ნდა ედვან მუშაობის უდიდესი სიმძიმე.
მასწავლებელს, როგორც შემოქმედები-
ი შრომის წარმომადგენელს, როგორც
ზოფესიის კაცს, პირველ და ყოველის
ნდა აინტერესებდეს თავისი პროფე-

დეს უფლება მიეცეს დაჭირის ჩინეთში,
მონგოლიაში და სპარსეთში. ჩვენ მზათ
ართ უარი ვქნათ იმ კონტრიბუციებ-
ე, რომელიც დაადვეს ჩინეთის ხალხს
სხვადასხვა სახით. ჩვენ გვსურს, რომ ეს
მილიონი ფუნტები მოხმარდეს აღმო-
ავლეთის დემოკრატიის კულტურულ საქ-
მეებს და მას საშუალება მიეცეს დაუახ-
ოვდეს რუსეთის დემოკრატიას. ამის
შემდეგ ადვილი გასაგებია, თუ როგორ
შთაბეჭდილებას მოახდენდა აღმოსავლე-
ის ხალხზე ოქტომბრის რევოლიუცია.
რუსეთის ამბებში ყველაზე უშინ გამოძა-
ხილი ჩვენს აზიურ მეზობლებში იპოვეს.
ამ დიდმა გადატრიალებამ მათაც აღუძ-
ა სურვილი თავისუფალი ცხოვრებისა.
ამას ჩვენ არ გვმალავენ კაპიტალის-
ურ მთავრობათა ოფიციალური წარ-
მომადგენლები. იმ პარტიას, რომელმაც
რუსეთში მოახდინა გადატრიალება, ჩი-
ეთში გუშინისტურ პარტიას უწოდებენ.
სპარსეთში დაიწყო მოძრაობა, რომე-
ლიც გამოიხატება დემოკრატიული ორ-
განიზაციების შექმნაში, სამხრეთ ჩინეთ-
ში, სადაც მცხოვრებლები უფრო განვი-
თარებულია, უკვე რევოლიუცია გაჩაღ
და, ამ რევოლიუციის ხელმძღვანელმა
ისიც კი განაცხადა, რომ რუსეთში სო-
ციალისტური რესპუბლიკის 8 თვის არ-
სებობის ფაქტი აძლევს იმედს და რწმე-
ნას აღმოსავლეთის ხალხს, რომ აქაც
(აღმოსავლეთშიც) შეიძლება მსგავსი ახა-
ლი წყობილება დამყარდეს.

გასაგებია აგრეთვე, თუ როგორი
შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთის რე-
ვოლიუციამ კაპიტალისტურ მთავრობებ-
ზე. თებერვალში მოხდა მუშათა კლასის
გამოსვლა ტოკიოში, რომელიც მაშინვე
ჩაქრო იაპონიის მთავრობამ. 5 სოც.-დემ. დაატუსაღეს. სამხედრო ცენზურა
რუსეთიდან ამბებს არ უშვებს. დღემდე
ჩვენი რევოლიუციონური ციმბირი იმყო-
ფება იაპონიის მუქარის გავლენის ქვეშ.
ღეს კი იაპონიაში სწარმოებს ბრძოლა
სამხედრო პარტიის წარმომადგენელთა,
რომელთაც სურთ ისარგებლონ რუსე-
თის სისუსტით და უკმაყოფილება ჩა-
მოაგდონ რუსის ხალხთან, და ზომიერ

ლიბერალების წარმომადგენელთა შორის,
რომელთაც სურთ რუსეთის ხალხთან
მორიგების გაათავონ საქმე.

ჩვენ თანახმა ვართ დაუშვათ იაპო-
ნიის მოქალაქენი მშვიდობიანი გზით
ის რგებლონ ციმბირის ბუნებრივი სიმ-
დიდრით და ფართე მონაწილეობა მი-
ღონ ჩვენს წარმოების და ვაჭრულ
ცხოვრებაში. ჩვენ მზათ ვართ (თუ ჩვ-
ენთი დათანხმდება) უარი ვთქვათ თა-
ვის ზოგიერთ უფლებებზე აღმოსავლეთ
ჩინეთის რკინის გზის ნაწილზე და ია-
პონიას მივყიდოთ სამხრეთი შტო ამ
რკინის გზისა, აგრეთვე მივცეთ მას
(იაპონ.) სხვადასხვა შეღავათები, რომ
შესძლონ იაპონიის საქონელი რუსეთში
თავისუფლად შემოიტანონ. ჩვენ მზათ
ვართ განვაახლოთ იაპონიასთან თევზა-
ობის კონვენცია და ვაჭრული ტრაქტა-
ტი, რომელიც დიდ წყაროს წარმოად-
გენს იაპონის ხალხის კეთილდღეობი-
სათვის. იაპონიის ხალხმა კარგათ აწონ
დაწონოს და შეაფასოს ეს ჩვენი დათ-
მობა, რომელიც შესაძლებელია მისგან
დამალული იყოს, (როგორც სხვა რამე-
ები), იაპონიის ხალხმა უნდა იცოდეს,
რომ თუ ვერ შევქმენით ჩვენ მეგობრუ-
ი დამოკიდებულება, თუ ჩვენ მიერ
ძლურად გაწვდილი ხელი ჰაერში დარჩა,
მაშინ ამაში დამნაშავე იქნება ის კლა-
ი, რომელიც მას ყველაფერს ამას უმა-
ლავდა თავისი ინტერესებისათვის.

ჯასჯვნა.

საბჭოების მთავრობის და რუსეთის
მდგომარეობა, რომელიც მოემწყვდა ორ
იმპერიალისტურ კოალიციათა შორის,
რიგორც ორ ცეცხლ შუა, არის მეტის
მეტად მძიმე და საუტანელი, მაგრამ ჩვენ
სრული რწმენით შეგვიძლია ვსთქვათ,
რომ უკეთესი და ერთად ერთი გამოსა-
ვალი გზა ამ მდგომარეობიდან ეს ში-
ნაური ცხოვრების და მდგომარეობის
განმტკიცება—გამაგრებაა. საჭიროა შე-
ქმნა შეიარაღებული ძალის რევოლიუ-
ციის მონაპოვართა დასაცავად. ასე რომ,
ჩვენი შინაური ჰოლიტიკისაგან არის
დამოკიდებული საგარეო ჰოლიტიკაც.

დღევანდელი ფოსტა-ტელეგრაფის მდგომარეობა

როგორც საზოგადოების ყველა დარგში,
ისე ჩვენი რესპუბლიკს ფოსტა ტელე-
გრაფის უწყებაშიაც დღეს სრული ანარ-
ქიაა გამეფებული.

ეს ანარქია რევოლიუციის დღიდან
იწყება და შედეგია უმთავრესათ უწყე-
ბაში არსებულ დისციპლინის გაუქმე-
ბისა. ძველი რეჟიმის დროს, ესა თუ ეს
მოხელე თავის ადგილზე იყო, ის უფ-
როსის განკარგულებას, დისციპლინას
ემორჩილებოდა, ამიტომ საზოგადოების
და საქმის წინაშე პირნათლად გამო-
დიოდა.

მაგალითად, თუ რომელიმე განყოფი-
ლების უფროსი, მოხელის გაუფრთხი-
ლებლობით ან დაუდევრობით მოქალა-
ქის წერილს სადმე მივარდნილ კუნჭულ-
ში აღმოაჩენდა, ან მასზედ დასწული
ბეჭედი, რომელიც წერილის მიღების
დროის მაჩვენებელია, უფროსს დაარ-
წმუნებდა, რომ მოხელეს წერილი თავის
დროზე არ გაუგზავნია, მოხელეს პასუხის
გებაში აძლევდა და ადგილიდან დათ-
ხოვითაც ემუქრებოდა. მოხელეს ეშინ-
ოდა ასეთი წესების და თავის მოვა-
ლეობას პირნათლად ასრულებდა.

დღეს კი, ისეთი ანარქიაა, რომ წე-
რილების გადაგზავნა, ან დატარება,
ადგილობრივათ ქალაქში, რამდენიმე
დღეებით და ხშირათ კვირაობითაც
გვიანდება. ასეთი ქცევა, რასაკვირველია,
მოღალატეობაა მოქალაქეთათვის. რე-
ვოლიუციამ უფროსებს და ზედამხედ-
ველობის მნიშვნელობა გააქრო; მოხელე-
ები და ადმინისტრატორები, ასე ვთქვათ,
ერთმანეთში გათქვეფა. ამათი მაგალი-
ი, ჯერ არ მოუცია.

მიუხედავათ იმისა, რომ რევოლიუ-
ციამ, ისტორიულმა ცვლილებამა, ფოს-
ტის ოპერაცია ერთობ შეამცირა და
ფოსტის მოხელეების რიცხვი იგივე და-
ტოვა, მოხელეები, დღევანდელ პატარა
ოპერაციასაც პირნათლად არ ასრუ-
ლებენ.

რატომ ხდება ეს? რაა ამის მიზეზი?
რასაკვირველია, პირველ ყოვლისა ამის
მიზეზი ჩვენი შეუგნებლობაა; საერთოდ,
ჩვენი საზოგადოების გონებრივი სიმაღ-
ლე იმ წერტილზე არ დგას, რომ ყველა
მოქალაქეს, ან მოხელეს ესმოდეს რა
აკეთოს და რა არ გააკეთოს, რომ სა-
ზოგადოებას საზარალი არ მოუტანოს...

ჯერ კიდევ, როგორც წინეთ, საჭი-
როა ჩვენზე იძულებითი მოქმედება, სა-
ჭირდა სასტიკი და სამართლიანი დისი-
პლინის დაწესება. და როცა ეს დისი-
პლინა შექმნება, ჩვენი ცხოვრება და
საქმიანობა ანარქიაში ეხვევა... ამიტომ,
ჩვენი ღრმა რწმენით, იმ ორგანიზაცი-
ური შეწობის ჩონჩხის სისტემიდან, რომ-
ლითაც ხელმძღვანელობდა ძველი მთავ-
რობა სახელმწიფოს მართვა გამგეობაში,
ჩვენც შორს არ უნდა წავიდეთ. ყოფი-
ლი ადმინისტრატიული სახელმწიფოებ-
რივი ორგანიზაციის შენობის ჩონჩხი,—
სისტემა, ცხოვრების აუცილებლობ თ
იყო გამოწვეული, ამიტომ შორს წასვლა
ამ სისტემისაგან, უსათუოდ საქმეების
არევ დარევას გამოიწვევს და სხვაგვა-
რი სისტემა ცხოვრებისათვის შეუსა-
ბამო გახდება. უნდა შევცვალოთ მხო-
ლოდ პოლიტიკა, ასე ვთქვათ, სული
მართვა-გამგეობაში, რომელიც ძველი
რეჟიმის ორგანიზაციებში ცხადდებოდა
ზევიდან ქვევით ხალხის საზარალოდ.
განსაკუთრებით გარეშე საფრთხის მო-
შორების შემდეგ, ჩვენი საზოგადოების
სალი და შეგნებული ნაწილი შეუდგა
ანარქიასთან ბრძოლას, მარა ანარქია
მაინც დღითი დღე ძლიერდება.

ფოსტის უწყებაშიაც დიდა ხანი არაა,
რაც ამავე საქმეს მოჰკიდეს ხელი, მარა
ჯერ-ჯერობით არაფერი კეთდება..

ფოსტის ოლქის კომისარი, საოლქო
კომიტეტი, აღმასრულებელი კომიტეტი,
ამ კომიტეტების გარეშე მდგომი, ფოს-
ტის მოხელეების გაერთიანებანი ამხანაგები!
აი, დღევანდელ ფოსტის უწყების სათა-
ვეში მდგომი ბატონ პატრონნი, მესვე-
ურნი, რომლებმაც თითქმის რევოლიუ-
ციის დღიდან, დაიჭირეს ძველი რეჟი-
მის ადმინისტრატორების ადგილი და
დღემდე ერთმანეთთან ბრძოლაში, ლა-
მობდენ უწყების მართვა-გამგეობას...
შეიძლება კიდევ დავუშვათ, რომ ასეთი
მრავალი ორგანიზაციები, რევოლიუციის
დროს წარმოშობილი, საჭირო იყო პო-
ლიტიკურის მხრით, მარა რაც შეეხება
მათ „საქმიანობას“, უნდა ვთქვათ, რომ
უწყებისათვის მათ ზარალის მეტი არა-
ფერი მოუტანიათ. საკმარისია ზემო-
აღნიშნულ ორგანიზაციების მუშაობას
გაეცნოს კაცი, რომ ჩვენს ნათქვამში
დარწმუნდეს. ამ მხრით რომ შევადაროთ
ძველი და ახალი ადმინისტრაციის მოქ
მედება ერთმანეთს, ძველის ადმინისტრა-
ციის შრომის ნაყოფიერება დიდათ გან-
სხვავდება ახლისაზე ფოსტის ძველი
ორგანიზაციული მართველობის სის-
ტემა, უეჭველად უფრო მარტივი
ბეჭდთი და სარგებლიანი იყო საზო-
გადოებისათვის. ამიტომ თუ ნამდვილათ
გვინდა ფოსტა-ტელეგრაფის უწყების
საქმეების მოწესრიგება, ანარქიის მო-
პობა, დღევანდელ ფოსტის მართველ
პირებმა, ამას სათანადო ყურადღება უნ-
და მიაქციოს და უწყების მართვა-გამ
გეობის საქმეში ძველი სისტემა აირ-
ჩიოს. ჩვენის აზრით, რევოლიუციის
დროს წარმოშობილი ფოსტის მრავალი
ორგანიზაციები, დაუყონებლივ უნდა
გაუქმდეს. ყველას თავის პირდაპირი
მოვალეობა ჩაბარდეს და მისი ასრულე-
ბა დაეკისროს. აუცილებლად საჭიროა
ფოსტის მოხელეების და ადმინისტრა-
ციის საქმიანობა, რომელიც დღეს ერთ-
მანეთში გათქვეფილია, დაუყონებლივ
ერთმანეთს გამოეყონ და თავიანთი პირ-
დაპირი საქმეები აკეთონ. ისე, როგორც
ძველი რეჟიმის დროს იყო. ეს არ ნიშ-
ნავს, როგორც შეიძლება ბევრმა იფიქ-
როს ძველი რეჟიმის შემოღებას ან ად
მინისტრაციას და მოხელეების ერთმა-
ნეთზე გადამტერებას. ასეთ პოზიციაზე
შედგომა სასარგებლო იქნება, როგორც
სახელმწიფოისთვის, ის მოხელეების და
საზოგადოებისთვისაც. ის განამტკიცებს
სოლიდარობას და მთლიანობას ფოსტის
მოხელეების დემოკრატიაში, რომელშიც
ეხლა დიდი განხეთქილებაა. სახელმწი-
ფოს წარმომადგენლებსაც ეღარ შეი-
ყვანს იმ უნებლიეთ შეცდომაში, რომე-
ლიც შეიძლება ადგილი ჰქონდა და მიე-
ცეს ფოსტის მოხელეების მიერ სახელ-
მწიფოს კითხვებში ჩარევით. ამრიგად,
ერთი მხრით, მთავრობისაგან დაყუ-
ნებული უფროსები, ზელამხედველები,
რომლებიც დ მოკიდებულნი არიან
მთავრობაზე და ატარებენ უწყებაში
მთავრობის და უფროსების ბრძა-
ნებას, მეორე მხრით, მოხელეები,
რომლებიც შეკავშირებულნი არიან თა-
ვიანთ ორგანიზაციებში და ყოველგვარ
კანონიერ განკარგულებას მთავრობის და
უფროსებისას ასრულებენ პირნათლად,
მათ და სახელმწიფოს სასარგებლოთ. თუ
დროთა განმავლობაში, ამ ორ ერთმანე-
თის პირისპირ მდგომ კატეგორიას, რო-
მელიმე საერთო კითხვის გადაჭრაში
კონფლიქტი მოუვათ, ასეთი კონფლიქ-
ტი მორიგებით, ან კულტურული ბრძო-
ლით უნდა გადაწყდეს არსებულ დემოკ-
რატიულ ორგანიზაციის საშუალებით.
ოლქის უფროსმა დაეყრდნოს თავის მი-
ერ დაყენებულ ადმინისტრატიულ პი-
რებზე, ამსჯელოს მათთან ფოსტის უწ-
ყების მართველობის მოწყობის შესახებ;
ფოსტის მოხელეებმა თავიანთ არჩეულ
პირებზე პროფესიონალურ კავშირის სა-
ხით. მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება
დღეს ფოსტის უწყებაში გამეფებულ
ანარქიის მოსპობა, მოხელეების ცხოვ-
რების გაუმჯობესება და მათში დისციპ-
ლინის განმტკიცება. სხვა გზა არ არის,
ამას დაუნებით თხოულობს დღევანდუ-
ლი ფოსტის აწეწილი მდგომარეობა.

ალფრედ თ—ძე.

საერთო არჩევნები თფილისის მაზრაში

ტფ. მაზრის აღმასრ. კომიტეტის პრე-
ზიდიუმი, რომელიც აწარმოებს მაზრაში
საერობო არჩევნებს, ამიერ-კავკასიის
დროებ. დიდგ. ერობის დაწესებ. მე 68
სტატ. ძალით ამით აცხადებს, რომ სა-
მაზრო საერობო ხმოსანთა არჩევნები აღ-
ბულახის ოლქში (ბელაკლიურ) დანიშნუ-
ლია 25 აგვისტოს, მანგლისის ოლქში კი—
1 სექტემბერს (ახ. სტ.) იმავე დადგენი-
ლების მე 75 მუხლ ძალით კომიტეტი
იწვევს დაინტერესებულ პარტიებსა და
ჯგუფებს, მსურველთ არჩევნებში მონა-
წილეობის მიღებისა აღბულახის ოლქში,
შეიტანონ საარჩევნო კომისიაში კანდი-
ტათა სიები საყოველთაოდ გამოსაცხა-
დებლად არა უგვიანეს 15 აგვისტოსა,
მანგლისის ოლქში კი—21 აგვ. ხმოსანთა
რიცხვი ასეა განაწილებული: აღბულახის
ოლქში 7 ხმოს. მანგლისში—5 ხმოს.

კომიტეტის პრეზიდიუმი საჭიროდ
სთვლის აცნობოს დაინტერესებულ პარ-
ტიებსა და ჯგუფებს, რომ კომიტეტის
ფინანსიური მხარის სისუსტისა გამო სა-
არჩევნო ბიულეტენების დამზადება და
დარიგება მათი კერძო ინიციატივის სა-
ქმეა, მხოლოდ საჭიროა დაცულ იქნას
ზოგიერთი ფორმალური მხარეები, მი-
ღებული აღმასრულ. კომიტეტის მიერ.

ყოველნაირი ცნობებისა და განმარ-
ტებისათვის მსურველთ შეუძლიათ მი-
მართონ მაზრის აღმასრ. კომიტეტის პრე-
ზიდიუმის კანცელარიაში, რომელიც მო-
თავსებულ პეტრე დიდის ქ. № 22, მი-
წათმოქმედებ. სამინისტროს შენობაში,
მესამე სართული, პირველი ოთახი შესა-
ვლიდან მარცხნივ.

თფ. მაზრის აღმასრ. კომიტეტის
პრეზიდიუმი.

ილიკო ტუღუში. დათიკო გუგუნავა იაკინთო მამულაიშვილი

ვერაგმა ადამიანებმა ვერაგულად გა-
მოასალმეს სიცოცხლეს სამი დაუღალავი
მუშაკი.

4 აგვისტოს ნატანებ ოზურგეთის გზა-
ზე ფოსტაზე თავდასხმის დროს ყარაღებ-
მა მოჰკლეს ი. ნატანების მილიციის უფ-
როსი ამხ. ილიკო ტუღუში, შემოქმედის

საზ. რწმუნებული მასწავლებელი ამხ.
დავით სიმონის ძე გუგუნავა და იმავე
საზ—ბის რწმუნებული და კოოპერატი-
ვის გამგე ამხ. იაკინთე მამულაიშვილი.

განსვენებულნი საუკეთესო პარტიული
მუშაკები იყვნენ.

ამხ. ილ. ტუღუში ჯერ კიდევ 1902
წლიდან როცა გურიაში დაიწყო აგრა-
რული მოძრაობა სათავეში ჩაუდგა ამ
მოძრაობას, რაც გამოც ის სხვებთან
ერთად ადრე მოაშორეს აქაურობას და
რუსეთში გადაასახლეს. რუსეთიდან გან-
სვენებული ადრე ბრუნდება უნებარ-
თოთ და განაგრძნობს ჩუმათ მუშაობას
თავის სოფელში. არ უყვარდა ილიკო
ქურდებსა და ყაჩაღებს და აკი ვერა-
გებმა 4 აგვისტოს მას დრო უხელთეს
და პირველად ტყვია სწორედ მას მოარ-
ტყეს შუბლში.

ამხ. დავ. სიმონის ძე გუგუნავას რე-
ვოლიუციონური მოღვაწეობის ისტო-
რიაც გურიის განმათავისუფლებელი
მოძრაობის ისტორიასთანაა დაკავშირე-
ბული. წოდებით თავადმა თავის ძმა
გრიგოლთან ერთად უარყო წოდებრივი
პრივილეგიები და თავის მეზობელ მშრო-
მელ გლეხს ამოუდგა გვერდში. განსვე-
ნებული მონაწილეობდა მაშინდელ წი-
თელი რაზმის მოწყობაში და რო-
გორც სამხედრო საქმის მცოდნე, კიდეც
უფროსობდა ერთ-ერთ ნაწილს წითე-
ლი რაზმისას. რეაქციის დროს გან-
სვენებული დათიკო დაატყვევეს და
მთელი წლის განმავლობაში ციხეებში
ყავდათ გამომწყდეული. ციხიდან გან-
თავისუფლებას შემდეგ ის ეწეოდა კულ-
ტურულ მუშაობას სოფლად ს. შემოქ-
მედში. მიმდინარე რევოლიუციის პირ-
ველი დღ დანვე განსვენებული ენერგი-
ულად ჩაება მუშაობაში,—იყო კომის-
რათ მურღულში, ხელმძღვანელობდა შე-
მოქმედის წითელ გვარდიას და ოზურ-
გეთთან ბრძოლის დროს გომის ასეულს
ხელმძღვანელობდა მეოთხე პოლკში.
პირნათლად ასრულებდა საზოგადოების
ამა თუ იმ დავალებას. და ერთი ასეთი
დავალების ასრულების დროს გახდა
მ. ხვერპლი ბოროტებისა ჯერ კიდევ
ახალგაზრდა.

ამხ. იაკინთე მამულაიშვილ ჯერ კი-
დევ არ ჰქონდა განვლილი ცხოვრების ის
საფეხურები, რაც გამოიარეს მასთან
ერთად დაღუპულმა ამხანაგებმა მაგრამ
მან მაინც შესძლო პირნათლად შეესრუ-
ლებია თავისი ვალი. განსვენებული
მოსწავლეობიდანვე ღებულობდა მო-
ნაწილეობას განთავისუფლებელ მოძ-
რაობაში; ადრე ის გაწვეული იქნა
ომში, საიდგანაც დაბრუნდა დაჭ-
რილი, მაგრამ მაინც ჩვეულებრივის
ენერგიით განაგრძო მუშაობას. ადრე
მიიპყრო ყურადღება შემოქმედის საზო-
გადოებისა, რომელიც მას თითქმის ყვე-
ლა საპასუხისმგებლო მოვალეობაზე ირ-
ჩევდა.

ასეთი ენერგიით სავსე და დაუღალა-
ვი მუშაკი გამოსთიშეს დემოკრატიის
რაზმს.

ხუსეინ.

სამეგრელო

სამეგრელოს დამხმარე კომიტეტის მი-
ერ სენაკის მაზრაში იყო გაგზავნილი
სურსათის, საექიმო, სასანიტარო და სხვა
საჭიროებათა გამოსარკვევად ამხ. გრ.
ჩოჩია, რომელმაც მოახერა მთელი მაზრა,
გარდა მარტვილის რაიონისა, სადაც ამ
ჟამათ ანარქია მძვინვარებს. აღმოჩნდა
რომ სუჯუნის რაიონში, სოფ. სეფიეში,
ბანძაში, ნაჭალაქევში და სხვაგან ხალხი
სურსათის მხრივ დიდ გაჭირვებას განი-
ცდის, აუცილებელია დახმარება ცენ-
ტრალურ მთავრობის მხრივ, ადგილობ-
რივ საშუალებებით საქმე ვერ მოგვარ-
დება. ამხ. ჩოჩუა ყველა ეს დეპეშით
აცნობა მთავრობას და სთხოვა დახმარე-
ბა, დაწვრილებითი მოხსენებას სენაკის
მაზრის სასურსათო და საექიმო სანი-
ტარულ მდგომარეობის შესახებ გააკე-
თებს დღეს მთავრობასთან და სამეგ-
რელ. კომიტეტში.

სენაკში, აბაშაში და ნაქალაქევში და-
უარსებიათ თფილისის მთავარი კომიტე-
ტის განყოფილებები.

ამ ჟამათ, როგორც გადმოგვცემს ჩო-
ჩია, სენაკის მაზრაში სხვადასხვა ადგი-
ლას თვი ეჩინა ბალშევიკური ბრძოლის
გამოსულებმა (ეს ბრბოები სამეგრელო-
ში გადმოვიდა ლეჩხუმიდან). განსაკუთ-
რებით ადგილი აქვს ბრბოების გამოსვ-
ლებს მარტვილის რაიონში. სოფ. ეკ-
ში და ძველ სენაკში. სენაკში სდგას
ჯავშნიანი მატარებელი. ადგილობრივათ
მთავრობას არ მოეპოვება საკმარისი ძა-
ლა, საჭიროა დაუყონებლივ ზომების მი-
ღება ცენტრალური მთავრობის მიერ.
ამხ. ჩოჩუას აქვს დავალებული მოელაპა-
რაკოს დახმარების შესახებ მთავრობას.

როგორც გადმოგვცემენ, აგრეთვე მარ-
ტვილის რაიონიდან ჩამოსულები, იქ სა-
შინელი შიმშილია და უმუავრესად ამით
აიხსნება ანარქიის გაძლიერება.

ახ—სან ი.

წნორის პომისარი

რაც მე ვნახე ჩემის თვალით 2 აგვის-
ტოს წნორის-წყლის [illegible]
დუროთ დამარწმუნა, რომ ახალ ქორე-
ლეთა—კომისართან [illegible]
პირნი, რომელნიც არა თუ განსხვავდე-
ბიან ძველი ჟანდარმებისაგან, არამედ
უხამს მოქცევით და თავიანთ ველურ
მოპყრობით ხალხს აიძულებენ ინატრონ
ძველი წესები.

საქმე შემდეგშია: როგორც იცით,
მაჟავრობის განკარგულებით გამოცხადე-
ბულია ფქვილის თავისუფალი ვაჭრობა.
წნორში ჩამოსულიყვენ მართალია ბევრი
სპეკულიანტებიც, მაგრამ იყვნენ აგრეთ-
ვე ისეთნი, რომელნიც მოსულიყვენ თი-
თო ან ნახევარ ნახევარ ტომარა ფქვი-
ლის წასაღებათ თავიანთ ოჯახობისთვის.
და რადგანაც ბევრს ბაგაჟი მიცემა
ვერ მოესწროთ და ერთი დღე უბრა-
ლოდ დარჩომილიყვენ, დაჩქარებოდნენ
და თავიანთი ტომრები ადრევე დაემწკრი-
ვებინათ ბაგაჟის კასის წინ იმ შიშით, რომ
შეიძლება მთელი დღით მეტი დარჩომა,
აიძულებდა ყველას რიგში ჩადგომას.
საბარგო კასასთან ჩამწკრივებულია 15-20
ტომარა. ღამის 10—11 საათი იქნე-
ბოდა, რომ ხალხში გამოჩნდა ვინტოვ-
კით ხელში ადგილობრივი კომისარი კ.
ზედელაშვილი. მე აქ არ გავიმეორებ
თუ რა ლანძღვა-გინებით და ჭუჭური
სიტყვებით მიმართა სომხის ერს, თუ
როგორ ხულიგანურათ მოიქცა თავის
ადვილ-წასახნელ სიტყვებში, არც ავსწერ
სათითაოდ სადგურზე, ხალხის თავლწინ
ეგრეთ წოდებულ კომისრის მიერ ნაცემ-
ნატყეპ პირებს. გავჩერდები მარტო ერთ
ნატყეპ რუს პორუჩიკზე.

კომისარ ზედელაშვილმა ხუთი-ექვსი
კაცის მიბეგვის შემდეგ მოიწია მორიგ
ტომარასთან და კითხულობს მის პატრონს.
მართალია, ბევრნი შიშისაგან ტომრებზე
ხელს ღებულობდნენ, მაგრამ ამ ტომრის
პატრონი რუსი პორუჩიკი წინ მოდის.
ჯიბეში ხელის ქექვით. მანამდის ნოსა-
წრობდა ბილეთის და რაღაცა. მოწმო-
ბის ამოღებას, საწყალი აფიცერი დარე-
ტიანდა კომისრის სილას, კონდახის და
წიხლებისაგან. სადგურის სხვა მოხელეებ-
მა ვეღარ მოითმინეს და ჩაერიენ, მაგრამ
გვიან იყო.

მკითხველი იკითხავს:—მიზეზი?

მიზეზი ის იყო, რომ ეგ ნაცემ ხალხი
ძილის მაგივრათ დაჩქარებული ყვენენ და
ღამით დამდგარიყვენენ თავიანთ ტომრე-
ბით რიგზე. მეორე ძილით სხვა ამბავმა
აღაშფოთა სადგურის ხალხი.

როგორც ეტყობა ამგვარ მოქმედებას
ჩვეულია და რადგანაც აქამდის დარჩო-
მილა უყურადღებოთ, განაგრძობს კიდეც.
და თუ მთავრობამ ზომები არ მიიღო
მაგნაირ ხულიგან კომისრების წინააღ-
მდეგ, რომელიც ახალ ქურქშია გამოხვეუ-
ლი, დემოკრატიულ მთავრობას სახელს
გაუტეხს და ხალხიც, როგორც ამ ღა-
მეს, ძველის ნატვრაში იქნება.

ათო.

მუშათა შორის.

თფილისი. ვოგზლის რაიონის გვარ-
დაელების საერთო კრება მოხდა 10 აგ-
ვისტოს. თავმჯდომარემ ამხ. წიტაი-
შვილმა გააცნო კრებას დღიური წეს-
რიგი. 1) მოხსენება ჯუღელისა, 2) ფრონ-
ტიდან დაბრუნებულ გვარდიელების
დასვენების დროს განსაზღვრა, 3) ჩადე-
ნილი დანაშაულობა ზოგიერთი გვარდი-
ელებისა დუშეთის ოპერაციის დროს 4)
ხელმძღვანელი ორგანოს არჩევა. ფრიად
საგულისხმიერო მოხსენება გააკეთა ამხ.
ჯუღელმა. მან დაიწყო, ყველა რევოლი-
უციებს ახლავს ისეთი შეიარაღებული
ძალა, როგორიც არის ჩვენი თავისუფ-
ლებისათვის მებრძოლი სახალხო გვარ-
დია და თავისთავათ ცხადია, ჩვენი რე-
ვოლიუციაც ვერ აშორდებოდა სხვა რე-
ვოლიუციების მაგალითებს. ამ წინასიტ-
ყვაობამ დიდი შთაბეჭდილება მოახ-
დინა ჩვენზე. შემდეგ ამხ. ჯუღელი გა-
დავიდა დუშეთის ამბებზე და მოკლეთ
განმარტა: ჩვენ ყოველი საშვალება ვიხ-
მარეთ, რომ იარაღისათვის არ მიგვე-
მართა, რადგანაც ვიცოდით ასეთ ბრძო-
ლის დროს შესაძლებელია დაზარალდენ
მოტყუილებული და ნეიტრალური გლე-
ხები, მიზანს ვერ მივაღწიეთ—მოლაპა-
რაკებამ არაფერი შედეგი არ გამოიღო
და მივმართეთ უკიდურეს ზომას, ე. ი.
იარაღს და შედეგი ჩვენს თვალწინ არის.
ჩვენ გავიმარჯვეთ და არც დაზარალე-
ბულა საერთოდ გლეხობა, თუ არ მი-
ვიღებთ გამონაკლისებს. რა არის მიზე-
ზი, რომ ჩვენ ყველგან ვიმარჯვებთ?
ჩვენ წარმოვადგენთ ორ ძალას—ერთს
შეიარაღებულს სხვადასხვა იარაღებით
და მეორეს შეგნებით და იდეით შეია-
რაღებული. ეს ორი ძალა, ეს ორი ია-
რაღი ერთად მოქმედებს, მას ვერავი-
თარი ძალა წინ ვერ დაუდგება. შემდეგ
ლაპარაკობს ჩვენი ჯარების შესახებ და
ამბობს, რომ გვარდიელებსა და ჯარს
შორის არაფერი განსხვავება არ არის,
ამათ ერთსულოვნებას ზღვარი არა აქვს.

პროვოკატორებმა ვერ მიაღწიეს მიზანს ამ ორ რევოლიუციონურ მებრძოლთა შორის დაეთესათ შური და მტრობა. დასასრულ მოუწოდებს გვარდიელებს, როგორც მოწინავე ნაწილს მუშებისას, არ იკმარონ მარტო სამხედრო მოქმედება და აქტიური მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური კითხვების გარჩევა-გადაწყვეტაში. ამხ. ჯუღელის მოხსენების უკანასკნელი სიტყვები ტაშით იქნა დაჯილდოვებული. დროს უქონლობის გამო ჯუღელს დანარჩენ კითხვების გარჩევაში მონაწილეობა არ მიუღია. დღიურ წესრიგში დასმულ კითხვებზე სათანადო დადგენილება იქნა გამოტანილი. ამხ. წიტაიშვილი ერთხმად იქნა არჩეული აღნიშნულ რაიონის ხელმძღვანელათ. ეხლა აუცილებელი საჭიროებაა ყველა რაიონებში მოწყობილი იქნას ლექციები აგრარულ რეფორმაზე და ერობაზე. ეს ორი რეფორმა ცხოვრებაში ტარდება და საჭიროა დაჩქარებით გატარდეს. რადგანაც ჩვენი ამხანაგებ გვარდიელებს ძალიან ხშირად უხდება გლეხებთან ყოფნა ამა თუ იმ სახით, აუცილებელია გავეცნოთ ზემოთ აღნიშნულ კითხვებს, რასაკვირველია, რამდენათაც შევძლებთ. მე მახსოვს ამას წინათ ჩვენი საუკეთესო ამხანაგები დუშეთიდან ჩამოვიდენ ერთნაირ დირექტივების მისაღებათ, განსაკუთრებით მწის საკითხის შესახებ, რადგანაც გლეხები მოითხოვდენ მიწის კერძო საკუთრებათ გადაცემას. ეს ძალიან რთული კითხვა და საჭიროა ჩვენ ამხანაგებს გარკვეული აზრი ქონდეთ ამ კითხვებზე. 9 აგვისტოს ტრამვაის პარკში ამხ. დ. ონიაშვილმა წაიკითხა ლექცია მიწის რეფორმაზე. ლექტორის აზრი კრებამ მიიღო. კრებას ყველა მოძრაობის მუშებიდან დაესწრო. სახელოსნოს მუშებიდან კი არავინ არ დასწრებია. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორ-სამ კაცს. იმედია შემდეგში დაესწრებიან ასეთ საინტერესო ლექციებს.

ხ. თ—ძე.

ს.-დემ. პარტიაში

თფილისი. 8 აგვისტოს შესდგა მე-3 რაიონული კოლექტივის კრება. დღის წესრიგში დაისვა შემდეგი კითხვები: ქალთა კომიტეტში კოლექტივიდან წევრის გაგზავნა; მუშათა კლუბის ორგანიზაცია; მოვალეობა კოლექტივის წევრების; წარმოდგენების გამართვა მუშათა კლუბის სასარგებლოთ; ამხ. ი. წერეთლის მოწვევა ლექციის წასაკითხათ მე-3 რაიონული კოლექტივის სასარგებლოთ. თავმჯდომარეობს ამხ. ვ. კალანდაძე. ქალთა კომიტეტში წევრის გაგზავნის შესახებ მოხსენებას აკეთებს ვ. მესხიშვილი. ერთხმად არჩეული იქნა ამხ. ნინა ვართანოვის ქალი. მუშათა კლუბის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ა. ვაშაკიძე. მან აღნიშნა კომისიის მუშაობა ამ მხრივ: „წინანდელ კრებაზე გადაწყვეტილი იყო მოწყობილიყო მუშათა კლუბი, მაგრამ ჯერ ჯეროვნათ ეს შეფერხდა; მიზეზი ის არის, რომ ვერ ვიშოვნეთ საჭირო მასალები; მომხსენებელმა გამოსთქვა იმედი, რომ თუ ცოტას კოლექტივიდან დაგვეხმარებით, ადრე ხანში მოვაწყობთ მუშათა კლუბსო“. ამის შესახებ კოლექტივმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მუშათა კლუბის ორგანიზაციამ ამ ცოტა ხანში მოიწვიოს საზოგადო კრება, სადაც არჩეული უნდა იქნას მუშათა კლუბის გამგეობა. გამგეობას დახმარება უნდა გაუწიოს კოლექტივმა და სხვა პარტიებთან შეთანხმებით გამართონ წარმოდგენები მე-3 რაიონულ კოლექტივის კლუბში, მუშათა კლუბის ფონდის გასაძლიერებლათ“.

თვითეული კოლექტივის წევრი ვალდებულია თავიანთ დარგებში განუმარტონ მუშებს მუშათა კლუბის მნიშვნელობა და შეიძინონ მუდმივი წევრები. რადგანაც მუშათა კლუბის ფონდი ძლიერ მცირეა და კლუბის მუშაობა კი მოითხოვს დიდ ხარჯებს, კრებამ ერთხმათ მიიღო ასეთი რეზოლიუცია: „გაიმართოს ლექციები და წარმოდგენები მე-3 რაიონულ კოლექტივის კლუბში, მონაწილეობა უნდა მიიღოს და დაეხმაროს მუშათა კლუბის ორგანიზაციას კოლექტივმაც. ასეთივე წარმოდგენა ლექციები გაიმართოს ნავთლუღის კლუბში, რადგანაც ნავთლუღელმა ამხანაგებმა გამოსთქვეს სურვილი“. მე 3 რაიონული კოლექტივი ძლიერ ცუდ პირობებშია ნივთიერის მხრივ. თფილისის კომიტეტი იმდენ დახმარებას ვერ გვაძლევს, რომ ხარჯები დაფაროს, იღებს რა კრება ამას მხედველობაში, ადგენს შემდეგს: „მოეწვიოთ ამხ. ი. წერეთელი ლექციის წასაკითხათ, ლექციის შემოსავალი გადაეცეს მე-3 რაიონულ კოლექტივს“.

ი. მეგრელიძე.

პროვინცია

ძართლის რაიონი (გორის მაზრა). სოფ. კვინაპლავში დაეწყო კრება, რომელიც მოეწყო ბალშევიკთა მეთაურობს. ეს ორი უხსნიდა საზოგადოებას: წითელი გვარდიელები მოდიან, 7 წლის ღალა უნდა აიღონ, პირუტყვების, ოთხფეხებისა და წვრილ-ფეხის მესამედს ესენი წაიყვანენ, მაგ. სამი ხარი თუ გყავთ, ერთს წაიყვანენ და ორს დაგიტოვებენო და სხვ. ჩვენ უნდა გამოვიდეთ ყველანი იარაღით და უნდა შევებრძოლოთ მდიდრების ჯარსო. მე ვკითხე მას გვარი, მაგრამ არ მითხრა; შემდეგ აუხსენი, რომ თფილისელი მუშები ყველანი გვარდიელები ვართ და არავითარი ასეთი აზრი გვარდიელებში და მათ ხელმძღვანელებში არ არის მეთქი. ბალშევიკთა ხელმძღვანელს გული მოუგდა და ხალხს გადაძახა: ეს გვარდიელების მომხრეო.

მთელ 7 სოფელში კვინაპლავი ღუღეევი, ლეტეტი, ზემოლეტეთი, ცირი წყარო, ხეობა, ზემო სკრა ასეთი ყალბი ცნობებით გამოუკვებავს ხალხი ამ ბალშევიკ. სოფლელები ძნათ იყვნენ იარაღით გამოსულიყვნენ. გარდა ამისა ბალშევიკების აგენტები დადიან სოფლებში გვარდიელებისა და მილიციონერების სახელით, ართმევენ მესამედს წვრილ და მსხვილ ფეხა საქონელს.

სოფელი ძლიერ აღელვებული იყო; მზათ იყო იარაღით გამოსულიყო მთავრობის წინააღმდეგ. მე მივედი და ყველა სოფელს ავუხსენი, რომ გვარდიელები არაფერ ასეთს არ ჩაიდენენ 7 წლის ღალა და საქონლის მესამედის წაღები ბალშევიკებია და ხალხს კი გატყუებენ, რომ შური დაბადონ თქვენსა და მთავრობის შორის მეთქი.

ყველა ზემო ჩამოთვლილ სოფლებში მთხოვეს მეშოვნა მათთვინ პროგრამა, თუ რას თხოულობს ჩვენი პარტია და მასთან დასძინეს,—თუ გვარდიელი კიდევ მოვიდა და 7 წლის ღალა (გადასახადი) და საქონლის მესამედი მოგვთხოვეს, შენ მოგკლავთო. მე დავპირდი მათ პროგრამას შოვნა და გვარდიელებს შესახებ ვუთხარი, რომ სოფელში თუ შამოვიდენ და მოგთხოვონ რამე, უჩვენოთ ნურაფერს ნუ მისცემთ მეთქი. ხალხი ცოტათი დაწყნარდა, საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

ოხი.

ჯოლევის საზოგადოება (სამეგრელო). დღიდან დამოუკიდებელ საზგადოებად აღიარებისა, ეს სოფელი მუყაითად შეუდგა თავისი საქმეების მოგვარება—მუშაობას. აქ ადგილობრივი ინტელიგენციის მიერ იმართება წარმოდგენა-გამართობები, რაც სიამოვნებას სტოვებს საზოგადოებაში. არსად საზოგადოება ისეთი სიბარულით არ ეგებება ერობის შემოღებას, როგორც აქ. ეტყობა, რომ კულტურულ საქმეებს ეცნობა და ეგუება სოფელი. მაგრამ გამოდიან სოფლის ზოგიერთი პირები და ეწევიან ხალხში უმსგავსო აგიტაციას. საძრახისია ასეთი საქციელი და ვიმედოვნებთ, რომ ამას ისინი შეიგნებენ, უკუ აგდებენ თავიანთ გამოსვლებს და შემოგვიერთდებიან კულტურულ მუშაობაში.

მანჭანა.

საჯავოხო (გურია). ხალხი დაინტერესებულია, რაც შეიძლება საქმე რიგიანათ დააყენოს და კულტურულათ წინ წავიდეს; ივლისის 14 ს მოხდა აქ საზოგადო კრება. კრებას ხალხი ბლომად დაესწრო. კითხვა ეხებოდა ადგილობრივ კოოპერატივის საქმეს. როგორც გამოირკვა, კოოპერატივს მოსაგები ჰქონებია 10500 მანეთი. აღძრა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოეხმარათ ეს ფულები. ზოგი მომხრე იყო ეს ფულები განაწილებულიყო სხვადასხვა დანიშნულებებზე. კრებამ ეს ფულები შემდეგნაირათ დაანაწილა: გიმნაზიას შეწირა 1000 მ., ბიბლიოთეკას—500 მან., გამგეობას 500 მ., საქ. რესპუბ. 500 მ. დანარჩენი 8000 მანეთი კი გადასდო კოოპერატივის ცალკე შენობის ასაგებათ. იყო ლაპარაკი კოოპერატივის შენობის ქირის შესახებ, რაზედაც გადასწყდა გამართულ იქნას მოლაპარაკება გამგეობის მიერ შენობის პატრონთან ქირის მომატება-დაკლების შესახებ. ბიბლიოთეკის წევრად კრებამ აირჩია სანდო პირები.

აქ წარმოდგენები ხშირად იმართება. ამას წინად წარმოადგინეს რკინის გზის შენობაში მოწყობილებმა, დასდგეს სხვადასხვა სურათები, წაიკითხეს ლექციები და გურული სცენები; საუცხოვოთ წაიკითხა გურული სცენა მექრთამეობის შესახებ „ბუჯუკუტისა“ 14 წლის მოწაფემ მაშა ჯაოშვილმა; გარდა ამისა წარმოდგენა გაიმართა 21 ივლისს არტისტების მიერ, როლს მოთამაშეები კარგად ასრულებდენ.

ხალხი მატარებლის მოსვლის დროს სადგურის ბაქანზე დიდ უწესოებას ახდენს, ხდება შეჯგუფება, ბევრი არკადრულობს ვაგონში ჩაჯდომას მანამ, სანამ მატარებელი არ წავა, მაშინ კი ყველა, როგორც გაშენებული ცხენი ფიხდაფხ მისდევს მატარებელს, არის ერთი ყვირილი, კივილი, ზოგი ძარს რჩება, ზოგი ეწევა; რომ ბარცხი არ დატრიალდეს, საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს, საჭიროა მეთვალყურე.

სიმონ ჯორბენაძე.

სად. სანაინი. ოსმალეთის ჯარის ყარსისა და ადრიანოპოლის რაიონებში შემოსვლამდი სანაინში დიდი მოძრაობა იყო მცხოვრებლების და მუშებიც ბევრი იყვენ დეპოში, მათ ჰქონდათ კარგათ მრწყობილი პარტიული ორგანიზაცია და კოოპერატივი. დღეს კი სამარისებულ სიჩუმეს მოუცავს აქაურობა: მუშა მოსამსახურეთა უმეტესობა მოცილებია აქაურობას, მოსპობილა ორგანიზაცია და კოოპერატივი; კერძო სახლების უმეტესობა დანგრეულ-დამწვარია, თფილისიდან მარტო ერთი მატარებელი დადის აქამდე, ვებერთელა დეპო დადუმებულია, არ იშოვნება ბინა და საჭმელი და მუშა-მოსამსახურეები იძულებული არიან სხვაგან ეძიონ ალაგი. ბლომათ მოიპოვებიან „ბნელი“ ძალები, რომლებიც აშკარათ ეწევიან საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ აგიტაციას. წესიერების დასაცავათ გერმანელთა მცირე რიცხოვანი ჯარია დაბანაკებული ჩვენი მთავრობის წარმომადგენელმა კი არა მგონია, რომ ზომები მიიღოს შავ-რაზმელთა წინააღმდეგ. ბლომათ არიან გაღმოხვეწილი სომხები და თათრები, რომლებსაც ოსმალეთი არ უშვებს საზღვარს იქით; მათში გავრცელებულია ავათმყოფობა უსუფთაობის გამო; ზოგიერთები ურჩევენ მათ თფილისში დაბანაკებას იმ დროს, როცა მთავრობის დადგენილებით იქ არავის უშვებენ და ვინცაა დაბინავებული, იმათაც მესამასე ვერსზე ისტუმრებენ. 22 ივლისიდან მთავარმა სამაჟორ გახსნა აქ სამაჟო, მარა საზღვრის გამორკვევამდე შემოტანილ საქონელზე სანაინში ბაჟის გადახდას არ თანხმდებიან, რაც იწვევს დიდ უსიამოვნებას. საჭიროა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ამ რაიონს მეტი ყურადღება მიაქციოს, თორემ მოსალოდნელია სადახლო-ხრამის ამბების განმეორება.

ხ. სხივიშვილი.

სოფ. გორისციხე. ამხანაგების დავალებით 27 ივლისს მივედი ს. გორისციხეში.

ხალხი კრებას საკმაოდ დაესწრო, ვილაპარაკე მიმდინარე მომენტზე და ავუხსენი აზრი და მიზეზები დუშეთის მოძრაობისა, რის შემდეგ კრების სახელით ერთმა ღალიშნა, რომ როდესაც სახალხო გვარდიამ მცხეთიდან გამორეკა ბალშევიკური ბრბოები და კვალდაკვალ მოსდევდა, ამ დროს ჩვენს სოფელში მოვიდა ფილიპე მახარაძე და გვითხრა, რომ საქართველოს მთავრობა მიწებს უკანვე თავადებს უბრუნებსო, თქვენ კი შიშშილით იხოცებითო. თქვენი მთავრობა შაქარს რუსეთში ყაზახებს უგზავნისო, თქვენ კი გზა შეგიკრათ რუსეთისაკენ და გლეხები შიშშილით უნდა ამოხოცონო და ჩვენ დროზე აუღეთ ალღო მთავრობის ამ გამყიდველ პოლიტიკას და ხმა ამოვიღეთ მის წინააღმდეგ, მაშინ მოსყიდული გვარდია და გერმანიაოსმალეთის ჯარები მოგვისიაო. შემდეგ მახარაძე მოგვიწოდებდა იარაღით ხელში გამოვსულიყავით და დაგვეცვა ჩვენი თავი გერმანელ ჯარების ბატონობისაგან და ჩვენი ოჯახებიც გადაგვერჩინა აწიოკებისაგან, ჩვენში ეს ბევრმა დაიჯერა, რადგანაც ჩვენი მთავრობის წარმომადგენელი აქ არავინ იყო, არც ჟურნალ გაზეთები მოგვდიოდა და რაში იყო საქმე, არ ვიცოდითო.

დღეს კი, როდესაც ჩვენში გვარდია შემოვიდა, ჩვენ ნათლად დავრწმუნდით თუ ვინ არის სახალხო გვარდია და ვინ იყვნენ ისინიც, მაგრამ თუ კი მოგვატყუებულეს და აგვყოლიენ პროვოკატორებმა, ეს ჩვენი შეუგნებლობის ბრალია, ამაში დამნაშავე ცოტათი თქვენცა ხართ, რომ არ გვიგზავნიდით კაცებს ჩვენთვის სიმართლე ეთქვა და სწორ გზაზე დაგეყენებინეთო. კრებამ მთხოვა მიმექცია მთავრობის და ამხანაგების ყურადღება იმაზე, რომ სოფელში არსებობს ორკლასიანი სასწავლებელი, მაგრამ კარგა ხანია იქ სწავლა არ ყოფილა, ვინაიდან მასწავლებელი ჯერაც არ გაუგზავნიათ იქ და აღმეძრა შუამდგომლობა იქ მასწავლებელი იქნას გაგზავნილი. ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერად და სამკითხველოს დასაარსებლად ჩემი წინადადებით იქვე შეკრიბეს 400-მდე მან., რომელიც გადაეცა წითელ გვარდიელ ამხ. ავსაჯანოვს. ამის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომ კრება სრულ ნდობას უცხადებს მთავრობას და ფიცსა სდებს, მის წინაშე, რომ ყოველივე მისი ბრძანება განკარგულებებს უსიტყოდ დაემორჩილება. შინაგან წესრიგის დასაცავად გადაწყდა შეადგინონ წითელი გვარდია და სასტიკად შეებრძოლონ ხალხის მტრებს. დასასრულ სოფელმა მთხოვა შუამდგომლობა აღმეძრა მთავრობასთან, რაც შეიძლება მალე იქნეს გაგზავნილი მიწის მომღები კომისია საბალახო მიწების გასანაწილებლად, რომლის გარშემო უთანხმოება იბადება როგორც სოფლების, ისე მენახირეთა შორის.

ნარწინი.

წერილი რედ. მიმართ

„ერ.“-ის ამა წლის № 162-ში ბ. ს. შადური წერილში: „დუშეთის მაზრის გლეხთა ამბოხება და სტეფანწმინდაზე (ყაზბეგზე) გალაშქრება“—ამბობს, ვითომ ყაზბეგელები და სნოველები მომზადებულნი იყვენ დუშეთის მაზრის აჯანყებულ გლეხების საწინააღმდეგოდ და კიდევაც იმედი ჰქონია იმათი დამარცხებისა და ამ დროს მლეთიდან ტელეფონით გვატყობინებს მლეთის „სტანციაში“ ლაქიად მოსამსახურე ჩვენი მეზობელი (სტეფანელი) ვარდო ფიცხელაური, რომ გარდა იმ ჯარისა, რაც სიონში მოვიდა, უფრო მეტი მლეთშია, დანარჩენი კიდევ უკან მოდის. ჯარი კარგათ არის ძალიან შეიარაღებული, 3 ზარბაზანი აქვთ, მრავალი ტყვიისმფრქვეველები და პატრონები ფურგონებით მოსდევთო. მერე კი სამი დღის შემდეგ გამოირკვა, რომ იმ უსირცხვილო ახალგაზრდამ ფიცხელაურმა მოგვატყუყილა და რათ ჩაიდინა ამისთანა სამშობლოს ღალატი ჯერაც არ ვიცით. როგორც ს. შადურისაგან და სხვებისაგან გამიგონია, ეს ღალატი ჩავიდინე მე შიშით,—ძალა დამატანა აჯანყებულმა ხალხმა და რომ მე არ მოვეკალ, მათქმევინეს ტელეფონით ტყუილები. მართალია, ძალათ მალაპარაკეს და იმ აჯანყებულ ხალხის ნალკარნახევი სიტყვები მე რომ ტელეფონით ყაზბეგში არ გადამეცა, მომკლავდენ. ისიც მართალია და ყველამ იცის, —სული ტყბილია და სიკვდილის ყველას ეშინია. საჭიროდ ვსცნობ პატივცემული მკითხველები დავარწმუნო, რომ მე სამშობლოს მოღალატე არა ვარ, რაიც სჩანს იქიდან, რომ მლეთის ხიდზე ყარაულებმა დამიჭირეს და დამიპირეს დახვრეტა, რასაც გადამარჩინა ერთმა მთიულმა სოფ. ზაქათკარში მცხოვრებელმა გიორგი ზაკაიძემ.

ვარდო ფიცხელაური.

ცნობები

ჩემი შვილი თფილისის მეზუთე გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფე ვასილ (ბასილა) ციცქიშვილი, 17 წლისა, ნებაყოფლობით მსახურებდა ქართულ მეორე ცხენოსან პოლკში, რომლიდანაც გამოვიდა იგი და ცხოვრობდა სურამში. ივლისის პირველ რიცხვებში იგი ჩემ დაუკითხავად წასულიყო სურამიდ ნ და მას შემდეგ აღარა ვიცირა. შეიძლება რომელიმე პოლკშია ან რაზმშია ჩაწერილი. ვთხოვ ვინც იცის რამე მაცნობოს წერილით ან დეპეშით ამ ადრესით: თბილისი. კაპგეროვის ქუჩა. მღვდელს ქრისტეფორე ციცქიშვილს, სახლის № 47

განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობების გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

თფილისიდან გავა:

		საათ.	წ.
ფოთისკენ	№ 23	დილის 7	50
„	№ 3	ღამის 10	30
ქუთაისისკენ	№ 9|10	საღამ. 7	17
განჯისკენ	№ 4	ღამის 11	10
„	№ 8	დღის 3	35
სანაინისკენ	№ 4|3ბ	დღის 1	—

თფილისში მოვა:

ფოთიდან	№ 24	შუად. 12	47
„	№ 4	საღამ. 6	54
ქუთაისიდან	№ 11|12	დილის 6	53
განჯიდან	№ 3	საღამ. 4	30
„	№ 7	დღის 8	30
სანაინიდან	№ 4ბ|3	დილის 11	—

თფილისის დროით.

10 აგვისტოს, თფილისში მიმავალი 24 ნომერ მატარებელში წიფიდან ხაშურამდე დავკარგე საპრ.პორშჩიკოს შკოლის გათავების და პირველ ქართულ დრუჟინაში ნამსახურობის შემდეგი საბუთები: „პოსლუჟნოი სპისოკი“, ატესტატი. ჯამაგირის და ქართული დრუჟინის უფროსის მოწერილობა მორიგ გენერალთან გამოსაცხადებლათ. მპოვნელს ვსთხოვ დამიბრუნოს მისთვის უსარგებლო და ჩემთვის ფრიად საჭირო ქაღალდები შემდეგ ადრესზე, რისთვისაც შესაფერ ჯილდოს მიიღებს: სადგ. ყვარელა, ქართული დრუჟინის შტაბი, პრაპ. იასონ ლუკას ძე სიხარულიძეს. (1—1)

ამა თვის 11 ს, ღამის 12 საათზე, ამბაკო ძნელაძის ფუნის წინ „ბერძნის წყაროსთან“ (საჯევახო-ჩოხატაურს შუა) იქ დასვენების დროს ურმიდან მომპარეს სკივრი („ჩიშკი“), რომელშიაც სხვადასხვა ნივთებს გარდა იყო **ლუკა ლორიას სახელზე** ძლიერ საჭირო სხვადასხვა საბუთები, რომლებიც ვთხოვ მპოვნელს გადასცეს ან ჩოხატაურის რაიონის კომისარს ან ფოსტით გამოგზავნოს უმარკოთ შემდეგი მისამართით: ჩოხატაურ ჯვარცმა ლუკა გიორგის ძე ლორიას, რისთვისაც მისამართის ჩვენების თანახმათ მიიღებს შესაფერ ჯილდოს.

(3—2) ლუკა გიორგის ძე ლორია.

ქართველ ვაჭარ მრეწველთა დროებით საბჭო ამით აცხადებს, რომ კვირას, 18 აგვისტოს, დილის 11 საათზე, საბჭოს ბინაზე (ფრეილინის ქ., № 11) დანიშნულია ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კრება. (2—2).

გასურთ მეოთხე რაიონის კოლექტივისა ღიაა ყოველდღე: დილის 10—12 და საღამოს 5—8 საათამდე. წევრებს ვთხოვთ, ვისაც წიგნაკები ჯერ არ შეუცვლია—შესცვალონ და საწევრო გადასახადი დაუყონებლივ შემოიტანონ. აქვე შეუძლიათ წევრებს გამოიწერონ „ერთობა“. (2—2)

ქალ. კუთაისში

(მიხეილის ქუჩაზე, წითელ ხიდთან)

ქირურგიული და ქალთა სნეულების საავათმყოფო სამშობიარო განყოფილებით.

დასაწოლ ავათმყოფს იღებენ ყოველ დროს. (24—1)

ექიმი ვ. ფ. მგალობლიშვილი იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ.№ 9 53. (24—5)

კერძო მიხეილის სამკუთნალო

მუდმივი ლოგინებით. ავმდმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167.

ექიმი ნ. ი. მაისვილაძე იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებ-ცხელებით) დაავადებულ ავათმყოფებს **სისხლის ნაკლებობით, ბუასილის, ტვინის, ნერვების და სხვა** ავადმყოფობით ავათმყოფთ ყოველ დღე სა[ათ]ი 5—7 საათამდე. ელექტრო[ბა] და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № [ზე]მელია აფთიაქის მახლობლათ.

ექიმი ი. ზ. კოკნიევი. იღებს შინაგან სნეულებით ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვაკის უბნის ქ. № 3. (24—[1])

ექ. ძალი რ. ზ. შიშლო-საბაშვილი მედიცინის დოქტორი ქნევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიცინურგულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფობით და იძლევა ხაბვინით გებას.** სიფილისის წამლობა ახალი თოდებით. დილის 10—12 ს. და [სა]ღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის [ქუ]ჩა, სახლი № 82. ტელ. № 9—26.

ექიმი ა. დ. ციციშვილი შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. [ავ]ათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილის [10]—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზ[ის] ქუჩა № 14.

ექიმი ზ. ვ. ჭუხაძე იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ სა[ა]თ 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. [მი]სამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; [ცენ]ტრთა ეკონომიური საზ. შენობის [კა]რებთან, საზ. სვანიშვილისა. ტელ.№ 8-[..]

პირველი რაიონის კოლექტივი

აცხადებს გზბ. „ერთობის“ ხელ[ის] მომწერთა საყურადღებოთ, რომ ამ თვის 1[5] ხელის მომწერლებს სახლებში აღარ დაურიგდებათ გაზეთები, ხელის-მომწერ[ლე]ბი თითონ უნდა წაიღონ ბიუროს ბინიდან. ვისთვისაც ეს მოუხერხებელია და ზეთის ხვედრი ფული წინდაწინ აქვს შემოტანილი—მათ უნდა მიიღონ უ[ნ]ფული. კოლექტივი განაგრძობს ბიუროს ბინაზე გზბ. „ერთობის“ ცალ[ის] გაყიდვას. ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქ. ნაძალადევის თეატრის შე[ნ]გერდზე. (2—1)

სალიკვიდაციო კომისია

თფილისის გუგერნიის სასურსათო კომიტეტისა

სთხოვს იმ პირთ, დაწესებულებათ, საზოგადო და კერძო ორგანიზაციებს, რომ[ელ]თაც აქვთ რაიმე პრეტენზია კომიტეტისადმი, ან ფულის ანგარიშები, შეატყ[ო]ნოს ამის შესახებ წერილობით ერთი თვის განმავლობაში ამა წლის 10 აგვის[ტ]დან დაწყებული კომისიის კანცელარიაში (სერგიევის ქუჩა, № 9) დღის 9—2 [სა]ათამდე. 10 სექტემბრიდან არავითარი განცხადებანი და პრეტენზიები მ[ი]ბული არ იქნება.

სალიკვიდაციო კომისია. (4

სახალხო სიმღერა-გალობის კურსები

ქალთა კავსაძეებისა

მისამართი: ვორონცოვის ძეგლის ახლო, ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სკოლის დარბაზში.

სამშაბათობით და პარასკევობით საღამოს 6—9 საათამდე. **მიიღებიან ჯგ[უ]ფები მაგირით გამოცდილნი მომღერალ-მგალობელნიც** (1—1)

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

მეორე შევსებულ-შესწორებული გამოცემა აწყობილია უშპონოთ (მჭიდროთ) კ[ო]პუსით, დაბეჭდილია კარგს ქაღალდზე, შეიცავს 1100 სვეტს, განმარტავს ყოველ[ს] გვარ უცხო სიტყვას და ანდაზა-წონადადებათ. **ფასი ხელისმომწერთათვის** (ვ[ი]ნათ დაიკვეთა) მშვენიერი კალენკორის ყდით, ოქროს ცარაყით ასოებით ა[ნ] ბეჭდილი 20 მან.; ყდით—15 მან. (წინათ შეწოტანილის გამორცხვით); არახელ[ის] მომწერთათვის—ყდით 30 მან., უყდოთ—25 მ.ნ. ფოსტის ხარჯი—2 მან. (ვ[ი]თფილისში გამომცემლისაგან შეიძენს, ეს ხარჯი არ გადახდება). მისურველთ მართონ: თბილისში, ბაზრის ქუჩა, № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, „თ[ე]რი და ცხოვრება“-ს რედაქციას, იოსებ იმედაშვილს. (5—2)

ნაცარწმულიან-ნახშირმჟავიანი წყალი

1907 წლის გამოფენაზე დაჯილდოვებულია

ბორჯომი

უმაღლესი ჯილდო (Grand pri[x])

უკანასკნელმა გამოკვლევამ დაარტკიცა, რომ ბორჯომის წყალში არის მუდმ[ი]ვ ემანაცია, რაც ამტკიცებს მასში რადიის მარილის ნიშნების არსებობას.

ბორჯომის წყალს ეკმიები უ[რ]ჩევენ: 1) სასუნთქავ ორგანოების ქრონიკულ ან[თ]ბის დროს, 2) კუჭისა და ნაწლეულების ქრონიკულ ანთების დროს, 3) ღ[ვ]ნაღვილისა და შარდის მილის ავათმყოფობის დროს, ქრონიკულ რევმატ[ი]მისა და სხვ., 4) ნაჭლის მონელების მოშლის ყველა შემთხვევებში (ნიკ[ა]სის ჭარი, სიმსუქნის და შაქრის ავათმყოფობა და სხვ).

ბორჯომის წყალი განირჩევა თავის უმჯობესობით სხვა ნაცარწმულიან წყლებ[ი]საგან მით, რომ ის შეიცავს იოლს და ბრომის მარილს.

ბორჯომის წყალი დიდათ მარგებელია, როგორც კარგი გიგიენური სასმელი [წ]დილობის დროს.

მთავარი საწყობი ბორჯომში. წარმომადგენლები: თფილისში, ელისაბედ[ი]ქუჩა, № 174, დოლიძე, ყვირილაში ძმები ნიურაძე და ა. გ. ჯალაღანია. (7—

სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით, გოლოვინის ვრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.